სპორტიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 13 ივნისი 2006 №133 (2755) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშინდელი რეაქციები

რუსეთი: НУ И ГУСЬ!

იტალია: LIPPISSIMO!

საქართველო: მტერი ეთამაშა ამ იტალიას

გუსი, გუსი... საოცარი კაცია რუსეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი, ჰოლანდიელი ჰიდინკი, რომელიც გარუსებამდე ავსტრალიის ნაკრებს უდგას სათავეში და გუშინ იაპონია შემოატრიალა — დიდი ზიკოს შეგირდები ამომავალი მზის ქვეყნიდან თამაშის სულ ბოლომდე იგებდნენ 1:0-ს, თუმცა საბოლოოდ ტაბლოზე სოკერუს სასარგებლო 3:1 ეწერა.

ჩეხებმა კი ამერიკას რაღაც yankee go home-ის მაგვარი უთხრეს, თან ძალიან აწყობილ-დალაგებული თამაშით. ვინძლო, მაგ ჩეხეთმა მართლა ბევრი გადაჩეხოს.

იტალია კი მარტო მაფიოზური, თუნდაც საფეხბურთო-მაფიოზური სკანდალების ქვეყანა რომ არ არის, გუშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა. განა დააკლებდა იტალიას განა რამეს?!

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ᲛᲔᲠᲘᲕᲔᲜᲣᲚᲘ ᲨᲘᲒᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

E ჯგუფი. I ტური

იტალია 2:0 განა

№9. 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. 23.00. ᲰᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘ. „AWD ᲐᲠᲔᲜᲐ". 43 000 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

1:0 პირლო (40), 2:0 იაკინტა (83)



შეცვლა: პაპოე – 7. შილა (46), ტოტი – 16. ჯამორანეზი (56), ჯილარდინო – 15. იაკინტა (64), ამოა – 19. ჰიმპონგი (68), ტონი – 7. დელ პიერო (82), გიანი – 12. ტაჩე-მენსა (89)

გაფრთხილება: დე როსი (10), მუნტარი (41), ჯამორანეზი (62), გიანი (65), იაკინტა (88)

მსაჯები: ჯარლოს სიმონი; არისტეუ ტავარეში, ედნილსონ ჯორონა (ბრაზილია)

8	ᲯᲐᲠᲘᲛᲐ	22
12	ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲘ	4
18	ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ	14
13	ᲯᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ	4
3	ᲗᲐᲛᲐᲨᲒᲐᲠᲔ	3

იტალიაკინტაური
განა ძალაა მთავარი?



ტოტის გამოყვანას დელ პიეროს თამაში ხომ არ ჯობდა? „რომას" კაპიტანი, მართალია, ვარსკვლავია და გაელვებები სჩვევია, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც კარგ ფორმაშია, ხოლო თებერვლის მერე უთამაშებელს და... თმაგაკრეჭილს რა შეუძლია, არ გვინახავს.

და რა სჭირს ლუკა ტონის, რატომ ნერვიულობს ასე ძალიან? იმ აბიტურიენტივით იქცევა, კომუნისტების დროინდელი სამედიცინოს მისაღებ გამოცდაზე რომ შედის და გულისწასვლამდე გაფითრებულია.

რა სჭირს განელების მეკარე რიჩარდ კინგსტონს, პირველ ათ-თხუთმეტ წუთში ყველა მაღალ ბურთზე სასაცილოდ რომ გამოდის? — ერთხელ ვერ მოზომა გამოსვლის დრო და ზუსტი მიმართულება.

იტალია მატჩის პირველ მონაკვეთში ულიდერო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა იმთავითვე ძალიან სწრაფ ფეხბურთს არ ერიდება და ამ დიდ სისწრაფეზე ტექნიკურად ყველაფერს უზადოდ ასრულებს. თვალს იტაცებს ცისფერთა ცალშეხება პასები და ბურთის გამართული-ჭკვიანური გათამაშება.

მოსაწონია განელების თამაშიც. აფრიკელები დაცვაში არ ჩაცემენტებულან, უბრალოდ, ფავორიტ მეტოქეს ხელს მონდომებით უშლიან და შემდეგ წინაც მიდიან. ერთი სიტყვით, იმას, რასაც ისინი აკეთებენ, ფეხბურთის თამაშს ჰქვია.

აი, ასეთი იყო ის კითხვები და შთაბეჭდილებები, რომლებიც E ჯგუფის მეორე მატჩის შემყურეთ სადღაც საღამოს 11-დან თორმეტის თხუთმეტ-ოც წუთამდე გაგვიჩნდა და დაგვეუფლა, შემდეგ კი, გაიხსნაო, რომ იტყვიან, ყველას ის მოგვივიდა — ფეხბურთელები ჰანოვერის სტადიონზე მოვიდნენ იშტაზე, ჩვენ კი ტელევიზორებთან.

ხომ გახსოვთ, რა მოხდა მერე? იტალიელების შეტევებზე მოგახსენებთ, მაგალითად, იმაზე, ლუკა ტონი მარჯვნიდან ჩაწოდებულს რომ გაუსრიალდა, მაგრამ ვერ მიწვდა. შემდეგ, იმავე ტონიმ ასევე სწრაფი და დინამიკური მომენტის გვირგვინად ბურთს ლაზათიანად რომ დასცხო და ხარიხას გაარტყა. შემდეგ, ფრანჩესკო ტოტის გაახსენდა, როგორ უნდა ფეხბურთის ნაპერწკლიანი თამაში — ორჯერ 35 მეტრიდან დაარტყა ეფექტური ჯარიმა, მათ შორის კი ერთი მახვილგონივრული პასი შეასრულა. და ბოლოს, ანდრეა პირლომ ტოტისავე უკან ჩაწოდებული კუთხური ჭუვიანური დაბალი დარტყმით გოლად გადააქცია.

ხოლო შესვენების შემდეგ აღსანიშნავი ჯერ ის მოხდა, რომ ალბერტო ჯილარდინომ პირისპირ შესულმა ვერ აჯობა მეკარეს, შემდეგ კი განელმა ჯონ პანცილიმ ტოტის წინააღმდეგ იუხეშა, წვივზე ფეხი დააბიჯა და შეშინებულმა მარჩელო ლიპიმ დაუყოვნებლივ გამოცვალა ახალგამოჯანმრთელებული ვარსკვლავი.

ტოტის ნაცვლად მოედანზე მაურო კამორანეზი შევიდა, ოღონდ ამას „სკუადრა აძურას" ტაქტიკურ მონახაზში, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ცვლილება არ გამოუწვევია — კამორანეზი, მართალია, ჩვეულ მარჯვენა მხარეს, მაგრამ აუტის ხაზიდან უფრო შიგნით ამოქმედდა და ამით განაპირა მცველს კრისტიან ძაკარდოს მოედნის მთელ სიგრძეზე წინ და უკან სირბილის საშუალება არ მოუსპო.

რაკიღა ზევით განელთა უხეშობა ვახსენეთ, თემა აქვე განვაგრძოთ და დავძინოთ, რომ ამ აფრიკული გუნდის ძირითადი ძალა ფიზიკურ ძლიერებაში ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ თამაშის მიწურულს, როდესაც ანგარიში მისთვის სასარგებლო აღარ იყო და ალბათ დაღლა-ნერვიულობაც მატულობდა, უხეშობამ აშკარად იმატა.

იტალიელთა მეორე გოლი კი 83-ე წუთზე გაჯიდა, როდესაც ანდრეა პირლომ ვინჩენცო იაკინტას მისცა პასი, ხოლო ცნობილმა სამუელ კუფურამ თავიდან იტალიელთა ეს მეჯიერობა თითქოს ჩაშალა, მაგრამ შემდეგ სისულელე ჩაიდინა, ბურთი თავისი მეკარისკენ ნელა გაგორა და იმავ იაკინტას მოახელთებინა, რაც გოლით დასრულდა.

ისე, იაკინტამ ამ თამაშში სულ 8 წუთი ითამაშა — ლუკა ტონის ნაცვლად შევიდა მოედანზე — და ამ მოკლე დროში, გარდა იმისა, რომ გოლი შეაგდო, ერთი დაშავება დაშავდა და ერთიც ყვითელი ბარათი მიიღო ბურთის გადაგდების ანუ დროის გაყვანის გამო.

ჰო, განელებზე გვეკითხებით? კი, როგორ არა, მათაც ჰქონდათ სახიფათო მომენტები, მათ შორის ერთი — როდესაც დე როსიმ ძაკესიენს საჯარიმოში ხელი კრასავით, მაგრამ მთლიანობაში თამაში იტალიისა იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, სჯობდა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მარჩელო ლიპიმ განაცხადა: „შედეგით კმაყოფილი ვარ. მეტოქემ თავი სწორედ ისეთ ძლიერ გუნდად წარმოაჩინა, როგორსაც ჩვენ ველოდით. გარკვეულ ასპექტებში გვჯობდნენ კიდეც, მაგრამ ჯამში გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პირველ მატჩში მოგება ყოველთვის ძნელია და ვფიქრობ, ბიჭებმა სწორედ რომ კარგად გაართვეს ამოცანას თავი".

ტოტის შეცვლაზე კი ლიპიმ ასე თქვა: „მე ის შეჯახების გამო არ შემიცვლია, ისედაც ვუპირებდი მოედნიდან გაყვანას".

რატომირ დუიკოვიჩი: „ხომ ნახეთ, რა კარგები არიან იტალიელები? მათ ქვეყანაში ატეხილმა სკანდალმა იოტისოდენადაც ვერ დაუსუსტათ ნაკრები. იტალიამ ღირსეულად გაიმარჯვა".

ᲯᲐᲯᲣᲜᲐ ᲪᲔᲓᲘᲐ

ჩეხეთი	1	1	0	0	3:0	3
იტალია	1	1	0	0	2:0	3
განა	1	0	0	1	0:2	0
აშშ	1	0	0	1	0:3	0

აშშ 0:3 ჩეხეთი

№10. 12 ივნისი. 20.00. გელზენკირხენი. „უოფმულკე". 52 000 მაყურებელი

0:1 კოლერი (5), 0:2, 0:3 როსიცკი (36, 76)

შეცვლა: ჯოლერი –12. ლოკვენცი (44), ჩერუნდოლო – 5. ობრაიენი (46), მასტროენი – 9. ე. ჯონსონი (46), მაკბრაიდი – 16. ვოლფი (77), პობორსკი – 19. ჰოლაკი (82), როსიცკი – 17. შტაინერი (86)

გაფრთხილება: ონიეკუ (5), როზენალი (16), ლოკვენცი (59), რეინა (60), როსიცკი (81), გრიგერა (88)

მსაჯები: ჯარლოს ამარილია; ამელიო ანდონიო, მანუელ ბერნალი (პარაგვაი)

15	ჯარიმა	19
2	კუთხური	5
6	ჯარისკენ დარტყმა	10
1	ჯარში დარტყმა	5
0	თამაშგარე	9

E ჯგუფი. I ტური

ჩეხური დეტექტივი: კილერმა კოლერმა კელერით დაიწყო

ამერიკის ნაკრებს ევროპაში ჩატარებულ მუნდიალებზე სულ მარცხი სდევს: იანკებმა 1934-ში იტალიაში 1, 1990-ში იტალიაშივე 3, 1998 წელს საფრანგეთში 3 წაგებულ მატჩს გუშინ გერმანიაში ჩეხებთან 0:3 განადგურებაც მიამატეს.

თამაში წლევანდელი ჩემპიონატისთვის ჩვეულად სწრაფად დაიწყო. ამერიკელთა მწვრთნელი ბრუს არენა თავის მცველებს ჩეხთა გიგანტი თავდამსხმელის კოლერის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საგანგებოდ ამზადებდა, თუმცა გრიგერას ჩინებული პასის შემდეგ სწორედ კოლერმა დალაშქრა კელერის კარი.

ოკეანისგაღმელებმა გაშვებული გოლის შემდეგ გაბრძოლება სცადეს და რამდენიმე სახიფათო ეპიზოდი შექმნეს სლავთა მისადგომებთან. თუმცა ჩეხეთი მეტოქეზე აშკარად აღმატებული გახლდათ. ისევე, როგორც კოლერი ამერიკელ მცველებზე — გოლიათმა პირდაპირ გააწამა ბრუს არენას უკანახაზელი შეგირდები ჰოუპი და ონიეკუ.

პირველმა ტაიმმა ბურთისთვის გამუდმებულ ბრძოლაში ჩაიარა. კელერის კართან გრიგერას სახიფათო ვიზიტს ამერიკელმა ვეტერანმა რეინამ ჩეხის კარის ძელზე ბურთის დაჭედებით უპასუხა.

გადამწყვეტი მომენტი მატჩის 35-ე წუთზე დადგა, როცა როსიცკიმ ფანტასტიკური დარტყმით ტაბლოზე 2:0 ანთო. ამის შემდეგ ევროპელთა უპირატესობა უკვე აშკარა იყო.

მარტო კოლერის ტრავმამ (გიგანტმა შესვენებამდე მცირე ხნით ადრე ფეხი იტკინა და მოედანი დატოვა) მისცა საშუალება ამერიკელ მცველებს, მცირედით ამოესუნთქათ. არენამ თავდასხმაში უპირატესობისთვის მოედანზე ობრაიენი და ედი ჯონსონი შეუშვა, თუმცა მეორე ტაიმში იანკებმა ჩეხთა სოლიდურ დაცვას მაინც ვერაფერი მოუხერხეს.

ერთი სიტყვით, თამაშის მეორე ნახევარიც კარელ ბრუკნერის ბიჭებისთვის სასიკეთოდ წარიმართა და ამერიკელების თითო-ოროლა მცდელობამ ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა. ტომაშ როსიცკიმ კი 77-ე წუთზე ლამაზ გოლით დაუსვა წერტილი ანგარიშს.

აი, ასე იყო და, უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ-ევროპული საფეხბურთო სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი ჩეხეთი გერმანულ მუნდიალზე უსერიოზულეს ნაკრებს მიეკუთნება, ამერიკამ კი ვერაფრით გააკვირვა გელზენკირხენის არენა. იანკები წინა მუნდიალთან შედარებით აშკარად სუსტნი არიან.

ლადო ხომერიკი

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ლაი-ლაის აბონენტთათვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის კიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთანხმება ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი
ერთიანული ბიბლიოთეკა

F ჯგუფი. I ტური

ავსტრალია 3:1 იაპონია

№12. 12 ივნისი. 17.00. ჰაიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ შტადიონი". 46 000 მაყურებელი

0:1 ნაკამურა (26), 1:1, 2:1 კეჰილი (84, 89), 3:1 ალოიზი (90)

შეცვლა: ბრეშიანო – 4. კეჰილი (52), ცუბოი – 2. მონივა (56), მური – 19. კენედი (61), უილშირი – 15. ალოიზი (75), იანაგისავა – 18. ონო (79), მონივა – 16. ოგურო (90)

გაფრთხილება: მიამოტო (31), გრელა (34), ტაკაჰარა (40), მური (58), მონივა (68), კეჰილი (69), ალოიზი (78)

მსაჯები: ისაამ აბდელ ფატაჰი (ეგვიპტე); დრამანე დანტე (მალი), მამადუ ნდოიე (სენეგალი)

22	ყარიმა	11
5	კუთხური	3
20	კარისკენ დარტყმა	6
12	კარში დარტყმა	2
5	თამაშგარე	3

ოკეანის პრინციპი: წყნარი იყო და უცებ აღელდა

კეჰილმა კავაგუჩი ხუთ წუთში ორჯერ დაამწუხრა

ძნელი სათქმელია, რატომ თვლიდა ექსპერტთა უმრავლესობა წყვილის ფავორიტად ავსტრალიის ნაკრებს. მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში ურუგვაელებს დააყრევინა ფარხმალი? მატჩის მსვლელობამ დაგვანახა, რომ არტურ ანტუნიეშ კოიმბრას იაპონელი შეგირდები გაცილებით გააზრებულ, მრავალფეროვან ფეხბურთს თამაშობდნენ და მათ გამარჯვებაშიც არაფერი იქნებოდა გასაოცარი.

ავსტრალიამ ჯამში დაახლოებით ოცი წუთი ითამაშა მეტოქეზე უკეთ. პირველი ათწუთიანი მონაკვეთი მატჩის დასაწყისში იყო, როცა მარკ ვიდუკამ და მისმა თანაგუნდელებმა საჯარიმოში ჩაკეტეს იაპონელები. ვიდუკა მახვილი კუთხით აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და ჯერ ცაციათი სცადა გატანა, მერე მარჯვენაც დაუნაცვლა — იაპონელთა მეკარე კავაგუჩიმ ორივეჯერ მოასწრო რეაგირება. მერე იმავე კავაგუჩიმ ვიდუკას ქუსლურით მასთან პირისპირ გასულ მარკ ბრეშიანოს არ გაატანინა და... ავსტრალიამ პირველი ტაიმი აქ დაამთავრა. მათი ფლანგური გასვლები და ვიდუკა-კიუელის მისამართით ბურთის გაუთავებელი ჩაკიდებები მეტისმეტად ერთფეროვანი იყო, ორ ეშელონად განლაგებული იაპონური დაცვა კი სხვა გასაქანს არც უტოვებდა ოკეანეთის რჩეულებს. იაპონელებმა მეტოქის თამაშს ალღო აუღეს და მალევე საკუთარი მოახვიეს თავს.

გოლი პირველი ნახევრის შუაწელს ავსტრალიელთა მეკარე შვარცერის უგერგილობით გამოცხვა — ნაკამურას ჩაწოდებულზე გამოსვლისას მეკარეს აშკარად ემძიმა საკუთარი სხეული, ბურთი თავზე გადაევლო და ბადეში გაეხვა. გუს ჰიდინკი ძალიან კი გაცხარდა, ვიდეოჩანაწერიც დაჟინებით ითხოვა — შვარცერს გოლის მომენტში თავს ტაკაჰარა დაესხაო, მაგრამ ეგრემც ვერაფერს გამორჩა.

პირველი ტაიმის ბოლო მონაკვეთი და მეორის თითქმის ნახევარი საათი გაოცებისა იყო. ანგარიშში ჩამორჩენილი ავსტრალია თითქოს მოედანზე დადგა, ის ერთფეროვანი ჩაწოდებებიც აღარ მისდიოდა და უილაჯოდ დაძუნძულებდა მოედანზე. მე-60 წუთზე შვარცერის მორიგი სისულელით რომ ესარგებლა, ჰიდეტოში ნაკატას საჯარიმოდან გამოვარდნილი მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებაც შეეძლო, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება დაახანა.

რაც ამის მერე მოხდა, გნებავთ, სამწვრთნელო ინტუიციად მოვნათლოთ, გნებავთ, ყისმათად. ჰიდინკმა მოედანზე ერთმანეთის მიყოლებით კეჰილი, კენედი და ალოიზი შეუშვა. დრეზდენის დინამოელმა კენედიმ ვარსკვლავები ვერ მოწყვიტა, თუმცა გვარიანად მოქანცა იაპონელი მცველები, რომლებმაც ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთში მთელი მატჩის სამყოფი შეცდომები დაუშვეს.

კავაგუჩიმ, მანამდე რომ ვიდუკას და ალოიზის ნაჯარიმალი ყუმბარები გააუვნებლა, ავსტრალიელი კოლეგის შეცდომა გაიმეორა, აუტიდან მოწოდებულ ბურთზე მოუმზადებლად გამოვიდა კარიდან, არეულობით კი კეჰილმა ისარგებლა და გააყაიმა. როცა საფინალო სასტვენამდე ხუთიოდ წუთი რჩება, რისკი თითქოსდა ზედმეტია, მაგრამ ორივე მეტოქეს ჩინებულად ესმოდა — ჯგუფიდან გასვლაზე მეოცნებეს ამ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს.

იაპონიას მაინც შეეძლო გამარჯვება. 89-ე წუთზე საჯარიმოს წინა ხაზთან მარტოდმარტო დარჩენილ ფუკუნიშის ოდნავ ზუსტად რომ დაერტყა... ვერ დაარტყა, საპასუხო შეტევაში კი თითქმის იმავე დისტანციიდან კეჰილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა — ძელიდან ასხლეტილი ბურთი ბადეში გაეხვა, გუს ჰიდინკმა კი სარბენ ბილიკზე ავსტრალიელი აბორიგენების ცეკვის მაგვარი დაუარა. 90-ე წუთზე ალოიზი მესამეს გაიტანდა თუ არა, დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, იაპონელები უკვე შოკში იყვნენ.

ზიკო: ჩვენი შანსები უნდა გამოგვეყენებინა და თამაში დაგვესრულებინა. ავსტრალიამ მეორე ტაიმის ბოლოს აშკარად მოუმატა და ვეღარ ვასწრებდით მათი შეტევების მოგერიებას. ფეხბურთში ხომ ასეა, ასპროცენტიან მომენტს რომ ვერ გამოიყენებ, ადრე თუ გვიან მეტოქე ამისთვის დაგსჯის. ახლა ძალიან რთულ ვითარებაში ვართ, მით უმეტეს, რომ ორბურთიანი სხვაობით წავაგეთ.

გუს ჰიდინკი: მატჩის ბოლოს სამართალმა იზეიმა. ამას რომ ვამბობ, იაპონიას არ ვაკნინებ, დარწმუნებული ვიყავი რომ თამაშს საჩვენოდ შემოვაბრუნებდით. ჩემი გუნდის ბრძოლისუნარიანობა მახარებს. ბიჭებს ყურები არ ჩამოუყრიათ და მეტოქეს სამი ქულა გამოგლიჯეს. როცა მოედანზე ხარ, წაგებაზე არ უნდა იოცქრო. არ ავნერვიულებულვართ და ფიზიკურადაც ვაჯობეთ იაპონელებს, მიუხედავად საშინელი სიცხისა.

ბიორგი ნოზაძე

ავსტრალია	1	1	0	0	3:1	3
ბრაზილია	0	0	0	0	0:0	0
ხორვატია	0	0	0	0	0:0	0
იაპონია	1	0	0	1	1:3	0

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. G ჯგუფი. I ტური

კორეა აჯანყებულ ვაჭრებს ხვდება

კორეა — ტოგო

ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი“. 17.00

1. ვ. ლი; 22. სონგი, 4. ჩოი, 6. ჯ. კიმი, 12. ი. ლი; 13. ე. ლი, 5. ნ. კიმი, 7. პარკი; 14 ჩ. ლი, 9. ანი, 11. სეოლი მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი	16. აგასა; 2. ნიბომბე, 3. აბალო, 15. ჩანგაი, 19. ასემოასა; 8. აგბოჰი, 9. დოსევი, 10. ტურე-მამანი, 15. რომაო; 4. ადებაიორი, 17. კადერი მწვრთნელი: ოტო პფისტერი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

ალბათ, ერთმა ეშმაკმა იცის, რა ხდება ტოგოს ნაკრებში. მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტებს სამხრეთ კორეასთან მატჩამდე ორი დღით ადრე მწვრთნელი ოტო პფისტერი გაექცათ, ხოლო ფეხბურთელები აჯანყდნენ და ვარჯიშზე უარი თქვეს. მწვრთნელის წასვლისა და ჯანყის მიზეზი კი თანხის გადაუხდელობაა. ტოგოელებმა კაცზე 150 ათასი ევრო მოითხოვეს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის. გარდა ამისა, 30 ათასი მოგებისთვის და 15 ათასი ფრისთვის.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთელებს შეეკამათა, ფასი დაიკლებინა და ეს ამბავი მიწყნარდა, მაგრამ გაურკვეველი იყო ახალი მწვრთნელის ბედი. პფისტერი დროებით მისმა თანაშემწე კოდჯოვი მაკუენამ შეცვლა. „ტოგოს ნაკრები რომ ჩავიბარე, მაშინვე ვთხოვე ფედერაციას პრემიების საკითხის გარკვევა. მათ კი საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ გერმანიაში ჩამოსულებს შეპირებულზე უარი გვითხრეს და მეც პროტესტის ნიშნად წავედი. ჩემი ცხოვრების ოცნება — მწვრთნელობა მსოფლიოს ჩემპიონატზე — ეჭვქვეშ დადგა და ამაში დამნაშავე ტოგოს ფეხბურთის ფედერაცია იყო“ — თქვა ოტო პფისტერმა, რომელიც ფეხბურთელების მოთხოვნით გუშინ ნაკრებს დაუბრუნდა.

სამხრეთ კორეის ნაკრებიდან არავინ გაქცეულა და არც ფეხბურთელები ავჯანყებულან, მაგრამ მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მეოთხეადგილისნებს წლეულს აღარ ჰყავთ ისეთი გუნდი, 2002-ში გუს ჰიდინკს რომ ჰყავდა. დიკ ადვოკაატმა ჯერჯერობით ვერაფერი შემატა ჰიდინკის „ნაშრომს“, თუმც ფორვარდი კი ჰეიონ სეოლი ამბობს: „უნდა დავამტკიცოთ, რომ ოთხი წლის წინ ნახევარფინალში შემთხვევით არ გავსულვართ. იოლი არ იქნება ტოგოსთან, საფრანგეთთან და შვეიცარიასთან თამაში, მაგრამ მჯერა, რომ მათთან ტოლსწორად ბრძოლა შეგვიძლია. ჩვენი გუნდი საკმაოდ კარგად მომზადებული და თავდაჯერებულია“.

დიკ ადვოკაატის თანაშემწე პიმ ვერბეეკი: „ვიცით, რომ ტოგოელთა საუკეთესო ფეხბურთელი ემანუელ ადებაიორია, მაგრამ არ ვაპირებთ მისთვის პერსონალური მცველის მიჩენას“.

კორეელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ მცველი დონგ ჯინ კიმი. დიკ ადვოკაატი: „გუნდმა კარგად იცის, როგორ უნდა ითამაშოს ტოგოსთან. ჩვენი მიზანი მერვედფინალში გასვლაა. პირველი მატჩი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაფერს არ წყვეტს. შანსი მომდევნო ორ შეხვედრაშიც გვექნება“.



თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად და შედეგით კმაყოფილი დარჩები

- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- გარანტირებული შედეგები

www.hairline.ge

ჰეალაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

ადებაიორს მწვრთნელი დაუბრუნდა

ქართულ-ამერიკული რესტორანი „ვერა სტეიკჰაუსი“

ულუფა

მსოფლიოს ჩემპიონატს
ფეხბურთში დიდ ეკრანზე
და **VIP ლარჯაზში**,
მიიხთვით *მანუელის*
ექსკლუზიური ჯეიძები და
გაატარეთ სასიამოვნო საღამო
ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: მ. კოსტავას ქ.37ᵃ,
ვერის ბაღი, ჭადრაკის სასახლის I სართული
ტელ: 98-37-67, 893-63-03-52
www.verasteakhouse.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. G ჯგუფი. I ტური

იაკობ კუნმა გამოთქვალა: ათიდან ორი, ორიდან ერთი



ზიდანმა ზიდანობა ერთხელაც უნდა დაამტკიცოს

ДЛЕС, 34 წლის ზინედინ ზიდანი და საფრანგეთის ნაკრების ოქროს თაობის კიდევ რამდენიმე შემორჩენილი ფეხბურთელი, რომელთა ზეობის ხანა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატსა და ევრო 2000-ს დაემთხვა, შეეცდებიან, მსოფლიოს, უფრო კი საკუთარ თავს დაუმტკიცონ, რომ ფეხბურთიდან წასვლის წინ ჯერ კიდევ შეუძლიათ გამარჯვება. ფრანგებს, რომელთა ლიდერები ბოლო კვირების საკონტროლო თამაშებში მაინც და მაინც ვერ ბრწყინავდნენ, სერიოზულად დაშავებული არავინ ჰყავთ, თუ საბრალო ჯიბრილ სისეს არ ჩავთვლით, რომელმაც წინა ოთხშაბათს ჩინელებთან სავარჯიშო მატჩში ფეხი მოიტეხა და სიდნეი გოვუთი შეცვალეს. ორი ვარჯიში გამოტოვა ტიერი ანრიმ და პატარა პრობლემა აქვს ნახევარმცველ ფლორენ მალუდასაც, რომელიც პარასკევს ვერ გავიდა ვარჯიშზე და სასტუმროში დარჩა ექიმებთან.

მატჩის წინა პრეს-კონფერენციაზე ლურჯთაგან კლოდ მაკელელემ ისაუბრა და მსოფლიოში სწორედ მისი მოსაზრებები გავრცელდა.

„ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ის შეცდომები, ოთხის წლის წინ რომ დავუშვით და მათ გამეორებას არ ვაპირებთ. დღეს, 2002 წელთან შედარებით, თითოეული ჩვენგანი გაცილებით დასვენებულია და მიზნად მთელი გზის ბოლომდე გავლა აქვს დასახული. მიზანი ერთადერთია — მსოფლიოს ჩემპიონობა“.

შტუტგარტის „გოტლიბდაიმლერშტადიონზე“ დანიშნული მატჩისთვის საგანგებოდ ემზადება ფრანგთა მეტოქე, მუნდიალის მონაწილეთაგან ასაკით „მეორე ყმაწვილი“ შვეიცარიის ნაკრებიც. მის მწვრთნელს კობი კუნს ტრადიციული 4-4-2 განლაგებით თამაში უყვარს, თუმცა თუ შედარებით ძლიერი მეტოქე შეხვდება, 4-5-1 სისტემას მიმართავს ხოლმე. ამ შემთხვევაში ის ერთადერთი თავდამსხმელი, ვეტერანი ალექს ფრეია, რომელსაც, როგორც ამბობენ, ეულად შეტევა გულზე ჰაინც და ჰაინც არ ეხატება.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე კუნმა განაცხადა: „მართალია, საფრანგეთს ორჯერ რომ მოვუგოთ ათჯერ უნდა ვეთამაშოთ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს სწორედ იმ ორი შემთხვევიდან ერთი იქნება. ჩვენ საკუთარი ახალგაზრდების და გამარჯვებათა წყურვილის იმედი გვაქვს. რაც შეეხება ანრის, ის მსოფლიოს ერთ-ერთი ან ერთადერთი საუკეთესო თავდამსხმელია და მისი ყოფნა-არყოფნა დიდ გავლენას იქონიებს ჩვენი და ფრანგების შეხვედრაზე“.

კაპიტანი იოჰან ფოგელი: „ჩვენი გუნდი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატთან შედარებით მართალია, გაახალგაზრდავდა, მაგრამ ნუ გაიკვირვებთ და უფრო გამოცდილია. ჩვენი მოთამაშეების დიდი ნაწილი უცხოეთში თამაშობს და დიდ ბრძოლებს დაჩვეულია“.

დაბოლოს, შვეიცარიელებს ევროპის წამყვან ხუთ საფეხბურთო სახელმწიფოსთან ბოლო 18 მატჩი არ მოუგია.

პაპუნა კედია

საფრანგეთი — შვეიცარია

შტუტგარტი. „გოტლიბდაიმლერშტადიონი“. 20.00

16. ბარტეზი; 19. სანიოლი, 15. ტურამი, 5. გალასი, 3. აბიდალი; 7. მალუდა, 4. ვიეირა, 6. მაკელელე; 10. ზიდანი; 12. ანრი, 14. საა მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი	1. ცუბერბიულერი; 23. ფ. დეგენი, 20. მიულერი, 4. სენდეროსი, 3. მანინი; 8. ვიკი, 6. ფოგელი, 10. გიგაქსი, 7. კაბანასი, 16. ბარნეტა; 9. ფრეი მწვრთნელი: კობი კუნი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

დღეს. F ჯგუფი. I ტური

ბრაზილია — ხორვატია

ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“. 23.00

1. დიდა; 2. კაფუ, 3. ლუსიო, 4. ჟუანი, 6. რობერტო კარლოსი; 8. კაკა, 5. ემერსონი, 11. ზე რობერტო, 10. რონალდინიო; 9. რონალდო, 7. ადრიანო მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა	1. პლეტიკოშა; 7. შიმიჩი, 4. რ. კოვაჩი, 3. შიმუნიჩი; 2. სრნა, 5. ტუდორი, 10. ნ. კოვაჩი, 8. ბაბიჩი; 19. კრანჩარი; 9. პრსო, 17. კლასნიჩი მწვრთნელი: ზლატკო კრანჩარი

მსაჯი: ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)

ლულა პრეზიდენტი ქაბაბ რონალდოზე



AFP

რას აკეთებს რონალდინიო?

პენტაკამპიონები მუნდიალზე პირველ მატჩს დღეს გამართავენ. თუ კარლოს ალბერტო პარეირას ვენდობით, ბრაზილიელები თავ-ქუდმოგლეჯილები არ შეუტევენ. ტაქტიკა 4-4-2 იქნება, მაგრამ ეს პირობითია, რადგან ადრიანოსა და რონალდოს უკან არანაკლებ შემტევი წყვილი კაკა-რონალდინიო იქნება, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

რონალდო სავარაუდო შემადგენლობაში კი არის, მაგრამ მცირე ტრავმა აწუხებს. ხორვატებს ივიცა ოლიჩი არ ეყოლებათ. შესაბამისად, თავდასხმაში ივან კლასნიჩისა და დადო პრსოს წყვილს ვიხილავთ, მათ უკან კი ნიკო კრანჩარი იქნება. ევროპელები მრისხანე მეტოქესთან საკმაოდ შემტევი ტაქტიკით 3-4-2-1-ით აპირებენ თამაშს. ვთქვათ ისიც, რომ ხორვატთა ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი დარიო სრნა დაშავებულია და მისი თამაში სათუოა.

კარლოს ალბერტო პარეირა: „არ მინდა, ასი პროცენტით დავიხარჯოთ, რადგან მერე გაგვიჭირდება. მუნდიალზე 7 მატჩის ჩატარებას ვგეგმავთ და ძალები სათანადოდ უნდა გავანაწილოთ. დაახლოებით ისე, როგორც 1994, 1998 და 2002 წლებში გავაკეთეთ“.

„მსოფლიოში ქომაგების 99 პროცენტი მუნდიალის ფავორიტად ბრაზილიას ასახელებს. ასე რომ, ფრე ჩვენთვის ჩინებული შედეგი იქნება. ხოლო თუ მოვიგებთ, სენსაციას გამოვაცხობთ“ — აღნიშნა ევროპელთა მცველმა იგორ ტუდორმა.

ხორვატთა მთავარი მწვრთნელი ზლატკო კრანჩარი კი უფრო მომავალ შეხვედრებზე ფიქრობს: „უბრალოდ, გვინდა, საკუთარი თამაში ვაჩვენოთ. თუმცა ძირითადი ყურადღება მომავალ ორ მატჩზე გაქვს გადატანილი. ვფიქრობ, გადამწყვეტი შეხვედრა იაპონიასთან იქნება.“

მსოფლიოს გასულ ჩემპიონატზე შვიდივე მატჩის მომგებ პენტაკამპიონებს ზედიზედ 10 საერთაშორისო მატჩი არ წაუგიათ მას მერე, რაც 2005 წლის კონფედერაციის თასზე მექსიკასთან დამარცხდნენ. ბოლო ოთხ შეხვედრაში ბრაზილიელებს გოლი არ გაუშვიათ. უკანასკნელად კი ევროპულ ნაკრებთან 2003 წლის მარტში, პორტუგალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში წააგეს. სამხრეთამერიკელები, 1982 წლიდან მუნდიალებზე ყველა პირველ მატჩს იგებენ, 1978 წელს კი მათ შვედებთან ვერ შეძლეს გამარჯვება (1:1).

დაბოლოს, რონალდოს ზედმეტ წონაზე ლაპარაკი ძალიან გახშირდა. ამას წინათ, ეს გაკვრით ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის იასინო ლულა და სილვამაც ახსენა, თუმცა გასულ პარასკევს ფორვარდმა მისგან საბოდიშო წერილი მიიღო, ცუდი არაფერი მიგულისხმიაო. თუ რონალდო თამაშს ვერ შეძლებს, ძირითად შემადგენლობაში რობინიოს ვიხილავთ, მაგრამ „კიჭას“ განწყობა ოპტიმისტურია:

„ვარჯიშზე თავს კარგად ვგრძნობდი და სათამაშოდ მზად ვარ. ტურნირის მსვლელობისას კი სათანადო ფორმაში ჩავდგები“.

გიორგი კაკაბაძე

ერიკსონს ფანები მიანდვნენ

ინგლისს მეორე მატჩი ტრინიდადთან ელის და ქომაგებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, ითამაშებს თუ არა უეინ რუნი. ამას გადაჭრით ჯერ ვერ ამბობენ, მაგრამ შანსი ყოფილა და თანაც საკმაოდ რეალური.

„როგორც ყოველთვის, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ასეთად დავიბადე. მჯერა, რუნი ითამაშებს. გულწრფელად რომ ვთქვა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ უკეთესობა დღითიდღე აშკარაა“ — თქვა სვენ გორან ერიკსონმა.

პარაგვაისთან მატჩისას ინგლისელმა ფანებმა ბევრი იყვირეს — „რუნი, რუნი“. თუმც მათი კერპი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მინდორზე არ შესულა. შვედის თქმით, ქომაგები მასზე ზეწოლას ვერ მოახდენენ: „მესმის, რომ გულშემატკივარს რუნის მინდორზე ხილვა სურს, ეს მეც მინდა, მაგრამ მათი შეძახილები ჩემზე ვერანაირ ზეწოლას ვერ მოახდენს. როდესაც ჩემს თანაშემწესთან და ექიმებთან ერთად გადავწყვიტეთ, უეინიც მაშინ ითამაშებს“.

ამასობაში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ 20 წლის ფორვარდს უვარჯიშია, რაც მისმა თანაკლუბელმა და თანამემამულემ რიო ფერდინანდმაც დაადასტურა.

„ფანები მას აღმერთებენ, რადგან უეინი ბრწყინვალე ფეხბურთელია. ყველაფერი კარგად მიდის და შესაძლოა, მან ტრინიდადთან ითამაშოს, რაც ძალიან გაგვიხარდება. რუნის, ფორმის მალე აღდგენაში ახალგაზრდული შემართება ძალიან უწყობს ხელს“ — აღნიშნა ფერდინანდმა.

კოკი კანდელაკი

ბედნიერის სიკვდილი

ტრინიდადელთა მეკარე შაკა ჰისლომპა თქვა, რომ ბედნიერი კაცია და ბედნიერ ადამიანად მოკვდება, მას შემდეგ, რაც თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი თამაში შვედებთან ღირსეულად დაასრულა. მრავალნაცადი პრემიერლიგელი მეკარე სულ ბოლო წამს მოხვდა ნაკრების ძირითადში: მას შემდეგ, რაც სათამაშოდ გამზადებული მეკარე კელვინ ჯეკი შვედებთან თამაშის წინ, მოთელვაზე დაშავდა.

„ეს საუცხოო დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, — თქვა შაკამ — ვფიქრობ, ჩვენი ნაკრების თამაშით მაინც ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ცხოვრებამ გამოცდა მომიწყო და მე ის ჩავბარე. ბედნიერ კაცად მოვკვდები.“

ტრინიდადელთა კაპიტან დუაიტ იორკს კი პაწაწინა ქვეყნის პრემიერმინისტრმა, პატრიკ მანინგმა დაურეკა და მიულოცა. ახლა ტრინიდადელები ინგლისელებს ხვდებიან. ეს მათთვის შინაური სამყაროა.

„ვინ იცის, რა მოხდება — ამბობს შაკა — დიდად დარწმუნებულნი არ უნდა იყვნენ“.

ალის მხარმა უგანა



ირანელთა 37 წლის კაპიტანი ალი დაეი, ალბათ, პორტუგალიასთან მატჩს გამოტოვებს. მექსიკასთან შეხვედრაში მან მხარი დაიშავა და ვეღარ ვარჯიშობს. ვეტერანი ფორვარდი ერთადერთია ირანელთა რიგებში, ვისაც ეროვნული ნაკრების მაისურით ასზე მეტი გოლი გაუტანია.

„ალიმ მხრის ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით ვარჯიშს ვერ ახერხებს. პორტუგალიასთან მატჩამდე დიაგნოზს დაველოდები, მაგრამ არა მგონია, მან თამაში შეძლოს“ — აღნიშნა ირანელთა ხორვატმა თავკაცმა ბრანკო ივანკოვიჩმა.

აზიელთა კიდევ ერთ ლიდერს, ალი ქარიმის კი ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. მას სრული დატვირთვით არ უვარჯიშია, მაგრამ, ექიმების თქმით, სერიოზული არაფერია.

„ქარიმი ფეხს იტკივებს, თუმც ვფიქრობთ, პორტუგალიასთან მატჩისთვის მზად იქნება“ — დასძინა ივანკოვიჩმა.

კოკი კანდელაკი

1 საზოგადოებრივი მაუწყებელი

FIFA WORLD CUP GERMANY 2006 გერმანია

ყოველდღე, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გადაცემა

“არენა”

შემოგთავაზებთ

ინტელექტუალურ ვიქტორინას.

ის, ვინც პირველი გამოაგზავნის სწორ პასუხს

SMS ნომერზე 2233 და 2234

მაგთიდან და ჯეოსელიდან,

საჩუქრად მიიღებს ჩვენს სპეციალურ პრიზს

სპორტულ ენციკლოპედიას

და „საუკუნის პორტრეტების“ ჩანაწერს DVD დისკებზე.

SMS-ის ღირებულებაა 50 თეთრი

9 ივლისს, 21 საათსა და 10 წუთზე

გათამაშდება კომპანია “ულტრათრეველის” მიერ დაწესებული

სპეციალური პრიზი:

ორადგილიანი საგზური

დუბაიში ერთი კვირით, ოთხვარსკვლავიან სასტუმროში

ის, ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს გამოგზავნის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გაემგზავრება დუბაიში.

უყურეთ მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში საზოგადოებრივ არხზე!

www.gpb.ge

ერაყელო ფანებო, იხარეთ

თბილისს მოვიდა ფანობა.

ამას გადასცემენ საერთაშორისო ტელეარხები. გასულ პარასკევს ბიბისის ახალ ამბებშიც კი იყო სიუჟეტი ინგლისის გულშემატკივრებზე. ალბათ, სხვა ქვეყნებშიც გადასცემენ, არის ასეთი ქვეყანაო, სადაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს იმდაგვარად ბალეშჩიკობენ, რომ ფან-კლუბებიც დაუხსნიათ, ჩაუცვამთ, დაუხურავთ, დაჰქრიან მთელს ქალაქში, ხალხს აფხიზლებენ თავიანთი კეთილი შეძახილებით, ერთმანეთს მიუხტებიან ლაღი ჟივილ-ხივილით და მერე ფეხბურთსაც უყურებენ. გამოჩენილი ადამიანებიც თავიანთი საყვარელი უცხოური გუნდების სამოსით გამოდიან ტელევიზორში, ამბობენ ჭკვიანობებს და სისულელეებს, კამათობენ ბრაზილიის თაობაზე. ასევე არგენტინის, ზოგჯერ კი იტალიის და ჰოლანდიის გამოც.

ეს ყველაფერი ძალიან ხალისიანია, მაგრამ თუნდ მეშვიდე საპყრობილეში ჩამსვან, მაინც უნდა ვთქვა, რომ ხელოვნურობის მკრთალი ხაზები დასდევს. ბალეშჩიკი ისეთი ვინმეა, რომ ნაღდ ბალეშჩიკს ეგრევე ცნობს. მეც, რაღა დაგიმალოთ და, სრულიად თავმდაბლურად მოგახსენებთ, რომ ნაღდ ბალეშჩიკს ვცნობ და ქართველი ბალეშჩიკის ამბავიც ასე თუ ისე მომეხსენება. ეს მოვლენა, რაც თბილისში ხდება, დიახაც, რომ ხალისიანია, ტელევიზორებში დიდი დრო ეთმობა, ხალხს ანახვებს, რომ მსოფლიო დიდია, მრავალფეროვანია, საზღვრები არა აქვს და თითქოს საქართველო ამ თეატრალიზებული სანახაობებით ერწყმის და ეჩვევა მსოფლიოს. განა არ მესმის ამ მოვლენის არსი. მთლად დებილი კი არ ვარ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ვერ ვამუღამებ.

ჩვენ გუნდი არა გვყავდა და იმ ლეგენდარული კიროვის პარკიდან და რომ წამოვყვეთ, ყველა თავისი გემოვნების მიხედვით ქომაგობდა ბრაზილიას, გერმანიას, ჰოლანდიას, არგენტინას, იტალიას და ინგლისსაც კი. ეს ბუნებრივი და დღემდე გამოყოლილი ამბავია, მაგრამ ყველა საქმეში სინამდვილე და ბუნებრიობაა კარგი. მე ეგრე მგონია, რომ თეატრალურობაში და კარნავალში ტორსიდას ვერ გაეჯიბრები: უბრალოდ გოგოები უკეთესად ცეკვავენ სამბას და თუ ბრაზილია გიყვარს, უქომაგე ჩვეულებრივად. ეს ყველაფერი, რაც თბილისში ხდება, ლაღია, მაგრამ ცოტა არ იყოს, პროდიული და არ მგონია, რომ ერთი თვის განმავლობაში ყოველივე ამის ცქერა ფეხბურთებს შორის ადამიანებს აღაფრთოვანებს. თუ, რა თქმა უნდა, ყოველდღე ახალ-ახალ რამეებს არ გამოიგონებ.

სამწუხაროდ, მე არ მინახავს, რომ საქართველოს ნაკრებს ასეთი ქომაგობა ჰქონოდეს. წინასწარ ორგანიზაციაზე ვამბობ, თორემ გულიდან ამონახეთქი ზეიმი ფეხბურთზეც მომხდარა და რაგბიზეც. რუსეთთან მოგების მერე დიდებული ღამე იყო; ხალხი რომ ლოკომოტივიდან დაიძრა. არ მგონია, რაღაც მსგავსი მოხდეს, ვთქვათ, ბრაზილია რომ ჩემპიონი გახდეს (სხვებზე აღარაფერს ვამბობ), თუ არ მოხდება და, რა საჭიროა ეს ყველაფერი? რამდენი სინამდვილე და რამხელა გულია ამ ამბავში? თუ გართობაა, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თუ ფანობაა, ფანობა სხვა რამეა.

სიმართლე რომ გითხრათ, ზედმეტი მომდის, თუმცა თავს იმით ვინუგეშებ, რომ თბილისში მიმდინარე ფანური თეატრი ბრაზიანი არ არის: ხალისს, ადამიანთა გართობას და სხვა ასეთ რამეებს, ასევე მსოფლიოსთვის ჩვენი კარგახსნილობის და მრავალფეროვნების, მოულოდნელი უცნაურობის დანახვებას უფრო ემსახურება, ვიდრე ფეხბურთის ვნებიანად ცქერას და განცდას.

კიდევ ერთი სიმართლე რომ ვთქვა, ძალიანაც მომწონს ეს ამბავი, როგორც რაღაც დიდი მოვლენის პარალელური, მოგონილი სამყარო. ჩემთვის ეს, უბრალოდ, საინტერესოა, ვინაიდან მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ამჟამად არ მოქმედებს ასეთი თეატრი და ასე ორგანიზებული გულშემატკივრობა. ფანობის არსი მის ბუნებრიობაში, სახელდახელო თავმოყრაში, სპონტანურ გადაწყვეტილებებში, თავზე ხელის აღებაში და სხვა ათას ისეთ რამეშია, რასაც ორგანიზებული პროცესი არ უხდება, მაგრამ ჩვენ ახლა სხვა ამბავში ვართ: ჩვენ ახლა ვქმნით რაღაც სამყაროს, რომელიც არის საქართველოს მსოფლიოსთან დაკავშირება. ეს სამყარო საინტერესო სამყაროა, ოღონდ ეს ყველაფერი მგონი იმას ჰგავს, ოდესღაც ქემალ ათათურქი რომ შლაპით გამოვიდა ქუჩაში.

არ ვიცი, არ ვიცი, სადღაც გავუტიე.

უბრალოდ, მე ვცნობ ნამდვილ გულშემატკივრებს და ვიცი, ისინი როგორ იქცევიან. ათი კაცი რომ დააყენო, იმათში სულ იოლად ამოვიცნობ ერთ ნამდვილს. იმიტომ, რომ იმას სახეზე ფეხბურთი აწერია. ხოლო ვისაც უბრალოდ ცეკვა და ჟივილ-ხივილი უყვარს, იმას ღმერთმა გაუმარჯოს, ალალად.

და კიდევ ის, რომ საქართველო რთული ქვეყანაა. როცა პოლიტიკოსი თუნდაც ფეხბურთის გამო ამბობს ორ სიტყვას, არავინ ფიქრობს, ის მხოლოდ ფეხბურთის გამო ამბობს ორ სიტყვას. ჯერჯერობით ასეა და ეს მართლა პრობლემაა. იმიტომ, რომ პოლიტიკოსის უკან სახელმწიფო დგას, რაც ჩვენს ტვინებში კვლავაც დასჯას გულისხმობს და ძალიან არ გვინდა, რომ ფეხბურთზე ლაპარაკისას სიტყვებში რაღაც იდუმალი ძალ-ღონე გამოსჭვივოდეს. ისეთი, საბჭოთა სკოლებში რომ გაკრთებოდა ხოლმე: ერთი მაგარი ძველი ბიჭი გალანდიას ბალეშჩიკობდა და ვერავინ უბედავდა ეთქვა, არგენტინა ჯობიაო, კემპესი მირჩევნია რენსენბრინკსო.

რთული ქვეყანაა, მოკლედ. ჯერჯერობით.

ღმერთმა კი გაუმარჯოს!

აი, ერაყში, მაგალითად, ჭირს ფეხბურთის ყურება. მხოლოდ კაბელზეა. კარტა 70 დოლარი ღირს. ფული არ არის. კაფეებს აქვთ კარტები და ფეხბურთსაც უჩვენებენ, მაგრამ კაფეში ფეხბურთის ყურება სიკვდილთან თამაშს ნიშნავს. ტერორისტებმა იციან, რომ ხალხი ტელევიზორთან იკრიბება. 70 დოლარი იქ დიდი ფულია. ბიჭები დოლარ-დოლარ კრეფენ. როგორც ერთმა იქაურმა ფანმა თქვა სიენნზე:

— ჩვენ მაინც ვუყურებთ ფეხბურთს...

იხარეთ, ერაყელო ფანებო. სიყვარული და სინამდვილეც ეგ არის.

კინის კარიერას გვერდმა მოგვერდი გაუკეთა

„სელტიკის“ ვეტერანი... თუმცა, რა „სელტიკის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი და დიდი ვარსკვლავი როი კინი ფეხბურთიდან მიდის. შეგახსენებთ, რომ ირლანდიელი კინი, რომელიც აგვისტოში 35 წლისა შესრულდება, „მანჩესტერ იუნაიტედს“ გასული წლის ნოემბერში დაემშვიდობა, ხოლო ორი თვის შემდეგ შოტლანდიაში გადაბარგდა და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ბოლო პერიოდში კინს გვერდი სტკიოდა და ამით გატანჯულმა განაცხადა, რომ თავის მომავალს ექიმის რჩევის მიხედვით გადაწყვეტდა.

„პირად ქირურგსაც გავესინჯე და „სელტიკის“ ექიმსაც, რის შემდეგაც გადავწყვიტე, რომ ყველაზე კარგი ვარიანტი ფეხბურთიდან წასვლაა“ — დაწერა 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა და შუა მოედნის უბადლო მებრძოლმა სქოთური კლუბის ვებ-გვერდზე.

შეგახსენებთ, რომ კინი მაისში დაბრუნდა მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“, სადაც 70 ათასი ფანის წინაშე „იუნაიტედისა“ და „სელტიკის“ მატჩი გაიმართა. ეს მისი გამოთხოვება გახლდათ ერთგულად ქომაგთან.

„სელტიკის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი:

„როი ერთ-ერთი უდიადესია მათ შორის, ვისაც ოდესმე ფეხბურთი გაულამაზებია. ის, რომ ბოლო თვები ჩვენთან გაატარა და წილად მასთან მუშაობის პატივი გვხვდა, უდიდესი ბედნიერებაა. ჩვენ ყველანი დიდი სიხარულით განვაგრძობდით მასთან ერთად სვლას, მაგრამ იმავდროულად გვესმის მისი მოტივი და მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ“.

პაპუნა კედია

გასახდელიდან გინების ხმა გამოდიოდა

ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებთან 0:0-ის შემდეგ შვედი ფეხბურთელებმა ფრედი ლიუნგბერგმა და ოლოფ მელბერგმა გასახდელში ერთმანეთს აგინეს და კინაღამ მუშტიც გაიქნიეს. ეს ამბავი შაბათს მოხდა და როგორც ამბობენ, მთელ გუნდზე საძაგლად იმოქმედა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას გასაკვირი არაფერი მომხდარა, რადგან „არსენალისა“ და „ასტონ ვილას“ ეს ორი ფეხბურთელი ჯერ კიდევ 2002 წელს დაეჯახა ერთმანეთს — გეხსომებათ, წინა მუნდიალზე ეს ამბავი მსოფლიოს მოედო. მაშინდელი ჩხუბის მიზეზი ის იყო, რომ ვარჯიშისას მელბერგი ლიუნგბერგს ეუხეშა, ოთხი დღის წინ კი ლიუნგბერგმა ისეთივე უხეშობა ისე გაატარა, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

თუმცა, იყო მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენცია, რომელზეც არსენალელმა განაცხადა:

„მელბერგი ძალიან ხშირად აწვდიდა ჩვენს თავდამსხმელებს მაღალ ბურთებს. ეს ზედმეტი იყო“.

როგორც ჩანს სწორედ ეს ეწყინა ჩამწოდებელს.

პაპუნა კედია



AFP ბალდადიდან

ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ ᲰᲒᲠᲘᲜᲘᲐ

რონალდოს კარიერაში ეს მეოთხე მუნდიალია. პირველად 1994-ში იყო, როცა ნორჩი კიჭა ერთი წუთითაც არ შეუშვეს მოედანზე. მეორედ და მესამედ საფრანგეთისა და კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატებზე, როცა იგი ბრაზილიის ეროვნული გუნდის ლიდერი გახლდათ. თუ რონიმ გერმანია 2006-ზეც ოქროს მედალი მოიპოვა, ის და კაფუ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები გახდებიან, რაც აქამდე მხოლოდ ლეგენდარულმა პელემ მოახერხა. თან რონალდოს შეუძლია, მუნდიალებზე გატანილი გოლების მხრივ გერდ მიულერის რეკორდიც გაიმეოროს (გერმანელმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე 14 ბურთი შეაგდო, კიჭამ ორით ნაკლები). მუნდიალის, ბრაზილიისა და რეკორდების შესახებ რონალდოს FIFA.COM-ი გაესაუბრა

ყურადღება, ყურადღება! მათთვის, ვისაც ფეხბურთი უყვარს! დღეს გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება — ბრაზილია ხორვატიას უგებს! რაც აქამდე ვნახეთ, შეგვეძლო, არც გვენახა. დღეს გამოდიან კარგები, რომელთაც მთელი მსოფლიოს ცუდები რიგ-რიგობით მიესევიან. დღეიდან ყვითლები იწყებენ და იგებენ.

და

ყურადღება! ყურადღება! მათთვის, ვისაც არ უყვარს ფეხბურთი და უყვარს ცირკი! დღეს, გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატს საათნახევრით ჟონგლიორები გაწყვეტენ. თამამად შეგიძლიათ, ტელევიზორებთან დასვათ ბავშვები. ისინი თავიანთი განვითარების შესაბამის შოუს ნახავენ და არ დაიძაბებიან.

მართლაც:

რა მოგწონთ ბრაზილიის ნაკრების?

რა არ მოგწონთ ბრაზილიის ნაკრების?

ამ კითხვებით მოიარა მთელი მსოფლიო ქართულმა სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა „იმენა ცვეტში ნაბაზრები“, რომელიც გამოკითხვას თავიდან მხოლოდ ადგილზე, გასაბრწყინებელ ივერიაში გეგმავდა, მაგრამ შემდეგ, როგორც ჭეშმარიტად ქართულმა ორგანიზაციამ, პლანეტარული მასშტაბი შეიძინა და საზღვრები გააფართოვა.

გთავაზობთ პასუხებს მსოფლიო რეგიონების მიხედვით:

გასაბრწყინებელი ივერია: 100 გამოკითხულიდან 70-მა თქვა: „ბრაზილია მაგარია“, 20-მა „მიშა მაგარია“ და 10-მა „ცხელა“, რის შემდეგაც ყველანი ორად გაიყვნენ და იჩხუბეს, რას ქვია, შენც ის არ მოგწონს, რაც მე მომწონსო.

ბრაზილია: გამოკითხულნი ძირითადად ცეკვავდნენ და ცენტრის თანამშრომლებმა ანკეტებში მრხევი თეძოები ჩახატეს.

არგენტინა: ჩანაწერებში ჭარბობს ააاااااا



ობიექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არც ქაბულია და არც თიქრითი. ეს გახლავთ მრავალთა ოცნების ქალაქი კასაბლანკა, რომელის ერთი უბანიც სულაც არ გამოიყურება ასეთად. მაგრამ იქ არის ის, რაც ალბათ ენატრებათ ქაბულელებს და თიქრითელებს. სატელიტური ანტენა მუნდიალის საცქერლად.
მუნდიალის ცქერისას კი რას არ წააწყდება თვალი: ქალი და ღვინო პორტუგალიური სიმბოლოებიც ყოფილა, ოღონდაც გერმანულ სტადიონებზე შტოფიც ხელოვნურია და კისერზე შემოსკუპებული ქალიც.
შვეიცარიელი გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან თავიანთი გუნდის პირველ თამაშს, მათი პირველყოფილობისა კი რა გითხრათ...
გერმანია კი რჩება გუნდად, რომელმაც ყველაზე მეტი გოლი გაიტანა პირველ ტურში და ბასტიან შვაინშტაიგერის და ლუკაშ პოდოლსკის ნებივრობაც ალბათ ამის გამოძახილია.

AFP

AFP

AFP

AFP

AFP

სარბიელი ⁄ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		13 ივნისი						
17:00	19	ს.კორეა-ტოგო	2.10	3.10	3.50	1.25	1.31	1.64
20:00	20	საფრანგეთი-შვეიცარია	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06
23:00	21	ბრაზილია-ხორვატია	1.45	3.60	7.80	1.03	1.22	2.46
23:00	22	ბრაზილია-ხორვატია 0:1	2.10	3.50	2.40			
		14 ივნისი						
17:00	23	ესპანეთი-უკრაინა	1.80	3.20	4.70	1.15	1.30	1.90
20:00	24	ტუნისი-ს.არაბეთი	1.95	3.10	3.85	1.19	1.29	1.71
23:00	207	გერმანია-პოლონეთი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
		15 ივნისი						
17:00	158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
20:00	159	ინგლისი-ტრინიდადი	1.16	5.80	16.00	1.00	1.08	4.25
23:00	161	შვედეთი-პარაგვაი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
		16 ივნისი						
17:00	162	არგენტინა-სერბეთი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
20:00	164	ჰოლანდია-კოტ დ'ივარი	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06
23:00	166	მექსიკა-ანგოლა	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
		17 ივნისი						
17:00	168	პორტუგალია-ირანი	1.45	3.90	7.50	1.05	1.21	2.56
20:00	170	ჩესეთი-განა	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
23:00	171	იტალია-აშშ	1.60	3.40	6.00	1.08	1.26	2.17
		18 ივნისი						
17:00	173	იაპონია-ხორვატია	4.00	3.30	1.85	1.80	1.26	1.18
20:00	174	ბრაზილია-ავსტრალია	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
23:00	176	საფრანგეთი-ს კორეა	1.40	3.90	8.00	1.03	1.19	2.62
		19 ივნისი						
17:00	178	ტოგო-შვეიცარია	5.30	3.40	1.65	2.07	1.25	1.11
20:00	179	ს.არაბეთი-უკრაინა	9.00	3.90	1.38	2.72	1.19	1.01
23:00	180	ესპანეთი-ტუნისი	1.45	3.60	7.50	1.03	1.21	2.43
		20 ივნისი						
18:00	182	ეკვადორი-გერმანია	8.50	4.30	1.35	2.85	1.16	1.02
18:00	183	კოსტა რიკა-პოლონეთი	5.00	3.40	1.70	2.02	1.26	1.13
23:00	184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.50	3.60	7.00	1.05	1.23	2.37
23:00	186	შვედეთი-ინგლისი	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
		21 ივნისი						
18:00	187	პორტუგალია-მექსიკა	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
18:00	188	ირანი-ანგოლა	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
23:00	189	ჰოლანდია-არგენტინა	3.00	3.10	2.30	1.52	1.30	1.32
23:00	190	კოტ დ'ივარი-სერბეთი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
		22 ივნისი						
18:00	191	ჩესეთი-იტალია	3.15	3.10	2.20	1.56	1.29	1.28
18:00	192	განა-აშშ	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
23:00	193	სორვატია-ავსტრალია	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
23:00	194	იაპონია-ბრაზილია	10.00	5.50	1.25	3.54	1.11	1.01
		23 ივნისი						
18:00	195	უკრაინა-ტუნისი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
18:00	197	ს.არაბეთი-ესპანეთი	12.00	5.50	1.20	3.77	1.09	1.00
23:00	198	შვეიცარია-ს კორეა	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
23:00	199	ტოგო-საფრანგეთი	9.00	4.80	1.30	3.13	1.13	1.02

ჩოგბურთი.კაცები.ლონდონი ბალახი

13 ივნისი

13:30	227	ბენეტო-მახუტი	1.80 — 1.80
13:30	228	ეროსუანი-ი მინარი	1.15 — 3.90
13:30	229	ჯინეფრი-გოლდსტეინი	1.50 — 2.10
13:30	230	მიურეი-ტიპსარევიჩი	1.20 — 3.50
13:30	231	სრიჩაფანი-დ ნორმანი	1.50 — 2.10
13:30	232	ტურსუნოვი-ბოგდანოვიჩი	1.20 — 3.50
13:30	233	ტ იოჰანსონი-მირნი	1.55 — 2.10
13:30	234	მუდი-ფილიპოუსისი	1.45 — 2.20
13:30	235	ფიში-ბეიკერი	1.04 — 6.00

ჩოგბურთი.ქალები.ბირმინგემი ბალახი

13 ივნისი

14:00	250	დანილიდუ-კეტავონეი	1.30 — 2.80
14:00	251	მ იუანი-გაიდისოვა	1.65 — 1.95
14:00	252	მორიგამი-რაიმონდი	1.60 — 1.95
14:00	253	მირსა-ა ბონდარენკო	1:50 — 2.20
14:00	254	‘ხვონარიოვა-მოლიკი	1.50 — 2.20
14:00	255	პირონკოვა-სფარი	1.45 — 2.10
14:00	256	სტოსური-როდიონოვა	1.35 — 2.30
14:00	257	პენგი-პრატი	1.55 — 2.10
14:00	258	შრეფი-მატეკი	1.60 — 1.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15019	ს.კორეა-ტოგო	3.00	2.80	2.00
15020	საფრანგეთი-შვეიცარია	3.00	2.80	2.00
15021	ბრაზილია-ხორვატია	3.00	2.80	2.00
15023	ესპანეთი-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15024	ტუნისი-ს.არაბეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16019	ს.კორეა-ტოგო	1.50	2.20
16020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.25	3.00
16021	ბრაზილია-ხორვატია	1.13	4.00
16023	ესპანეთი-უკრაინა	1.30	2.75
16024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.35	2.50

გოლი:ფქვილი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფქვილად)

17019	ს.კორეა-ტოგო	1.85	1.95
17020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.85	1.95
17021	ბრაზილია-ხორვატია	1.85	1.95
17023	ესპანეთი-უკრაინა	1.85	1.95
17024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12019	ს.კორეა-ტოგო	1.60	2.00
12020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.60	2.00
12021	ბრაზილია-ხორვატია	1.80	1.80
12023	ესპანეთი-უკრაინა	1.60	2.00
12024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13019	ს.კორეა-ტოგო	1.80	1.80
13020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.80	1.80
13021	ბრაზილია-ხორვატია	1.70	1.80
13023	ესპანეთი-უკრაინა	1.70	1.90
13024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14019	ს.კორეა-ტოგო	1.70	2.10
14020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.40	2.40
14021	ბრაზილია-ხორვატია	1.20	2.60
14023	ესპანეთი-უკრაინა	1.35	2.40
14024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.60	2.20

ვინ დაიწყებს თამაშს

19019	ს.კორეა-ტოგო	1.85	1.85
19020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.85	1.85
19021	ბრაზილია-ხორვატია	1.85	1.85
19023	ესპანეთი-უკრაინა	1.85	1.85
19024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20019	ს.კორეა-ტოგო	1.70	1.90
20020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.60	2.00
20021	ბრაზილია-ხორვატია	1.50	2.10
20023	ესპანეთი-უკრაინა	1.60	1.95
20024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.70	1.90

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22019	ს.კორეა-ტოგო	1.80	1.90
22020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.80	1.90
22021	ბრაზილია-ხორვატია	1.80	1.80
22023	ესპანეთი-უკრაინა	1.80	1.90
22024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.70	2.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10019	ს.კორეა-ტოგო	2.50	2.00	3.90	1.11	1.52	1.32
10020	საფრანგეთი-შვეიცარია	2.00	2.00	6.00	1.00	1.50	1.50
10021	ბრაზილია-ხორვატია	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11019	ს.კორეა-ტოგო	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11020	საფრანგეთი-შვეიცარია	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11021	ბრაზილია-ხორვატია	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	10.00
11023	ესპანეთი-უკრაინა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11024	ტუნისი-ს.არაბეთი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

9 ივნისი

18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი A	7.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი F	5.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი H	6.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი C	12.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი D	5.20
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი E	7.50
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი B	5.50
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი G	6.20

რომელი კონტინენტი მოიპოვებს მსოფლიო თასს

9 ივნისი

18:00	9301	გამარჯვებული	ევროპა(14)	1.30
18:00	9301	გამარჯვებული	ავსტრალია	100.00
18:00	9301	გამარჯვებულ	ჩრ.ამერიკა	70.00
18:00	9301	გამარჯვებული	აზია(4)	60.00
18:00	9301	გამარჯვებული	ც.ამერიკა(3)	30.00
18:00	9301	გამარჯვებული	სამ.ამერიკა(4)	2.10
18:00	9301	გამარჯვებული	აფრიკა(5)	30.00

ვინ გახდება მჩ 2006-ის ბომბარდირი. 9501. 9 ივნისი. 18.00

კლინსი	28.00	რონალდო	10.00	ჯეფსონი	65.00	ლარსონი	45.00	დენ პერრი	38.00
მაკაი	32.00	შევჩენკო	20.00	ადრიანო	10.00	ნელსენი	65.00	ჰენი	35.00
დრიფბა	45.00	რონალდინიო	11.00	ჰრხი	55.00	ხეხე	45.00	ოუენი	13.00
ჯოლარდინი	25.00	ანრი	13.00	ბეკჰემი	48.00	ტრაუნი	40.00	ბარიში	40.00
ვოლა	25.00	ტრეზეგი	15.00	გოლეში	50.00	ვიერი	30.00	ლამპარდი	45.00
ტორეხი	25.00	ტონი	15.00	ბალეკი	48.00	კეიტი	30.00	ტოტი	30.00
ბიდიჩეკი	25.00	ვან ნისტელროი	15.00	ჯეკი	48.00	პაულეტა	32.00	კოლერი	65.00
რუნი	17.00	ზიდანი	60.00	ვენგეროერი	45.00	რაულეი	35.00	ტრეზეგე	20.00
დეკო	60.00	ბეკჯეხი	30.00	ბორგეტი	45.00	რობინიო	31.00	იბრაჰიმოვიჩი	40.00

მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

18:00	9012	იაპონია	130.00
18:00	9012	ბრაზილია	3.20
18:00	9012	გერმანია	7.50
18:00	9012	პორტუგალია	18.00
18:00	9012	ესპანეთი	12.00
18:00	9012	ჰოლანდია	15.00
18:00	9012	საფრანგეთი	10.00
18:00	9012	აფრიკა	380.00
18:00	9012	კოტ დივარი	80.00
18:00	9012	ტრინიდადი	800.00
18:00	9012	ხარბეთი	600.00
18:00	9012	ირანი	450.00
18:00	9012	ტოგო	290.00
18:00	9012	ს.კორეა	250.00
18:00	9012	ავსტრალია	80.00
18:00	9012	ჰოლანდია	75.00
18:00	9012	ჩეხეთი	25.00
18:00	9012	შვედეთი	28.00
18:00	9012	მექსიკა	40.00
18:00	9012	უკრაინა	45.00
18:00	9012	ხორვატია	50.00
18:00	9012	ტუნისი	280.00
18:00	9012	პარაგვაი	95.00
18:00	9012	განა	190.00
18:00	9012	კოტ დივუარი	500.00
18:00	9012	შვეიცარია	100.00
18:00	9012	სერბეთი	100.00
18:00	9012	ეკვადორი	120.00
18:00	9012	პარაგვაი	130.00
18:00	9012	იტალია	6.50
18:00	9012	ფრანგეთი	8.50
18:00	9012	არგენტინა	9.00

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

ჯგუფი A 9101		ჯგუფი B 9102		ჯგუფი C 9103		ჯგუფი D 9104		ჯგუფი E 9105		ჯგუფი F 9106		ჯგუფი G 9107		ჯგუფი H 9108	
18:00	გერმანია 1.35	18:00	ტრინიდადი 35.00	18:00	სერბეთი 9.00	18:00	პორტუგალია 1.80	18:00	იტალია 1.65	18:00	იაპონია 12.00	18:00	საფრანგეთი 1.30	18:00	ტუნისი 8.50
18:00	კოტ დივუარი 15.00	18:00	პარაგვაი 7.00	18:00	კოტ დივარი 9.00	18:00	ირანი 10.00	18:00	განა 10.00	18:00	ავსტრალია 12.00	18:00	შვეიცარია 4.80	18:00	ხარბეთი 30.00
18:00	ეკვადორი 9.00	18:00	ინგლისი 1.45	18:00	ჰოლანდია 2.40	18:00	ანგოლა 12.00	18:00	ჩეხეთი 3.00	18:00	ხორვატია 6.20	18:00	ტოგო 15.00	18:00	უკრაინა 3.00
18:00	პოლონეთი 4.50	18:00	შვედეთი 3.10	18:00	არგენტინა 1.95	18:00	მექსიკა 2.10	18:00	აშშ 7.00	18:00	ბრაზილია 1.20	18:00	ს კორეა 10.00	18:00	ესპანეთი 1.50

ვინ შეხვდება ერთმანეთს ფინალში. 9 ივნისი

18:00 9401	ჩეხ-ხორვ	500.00	18:00 9401	ბრაზ-უკრ	75.00	18:00 9401	ესპ-ხორვ	300.00	18:00 9401	ინგლ-საფ	13.00	18:00 9401	ინგლ-შვედ	40.00
18:00 9401	შვედ-უკრ	500.00	18:00 9401	იტალ-მექს	95.00	18:00 9401	ჩეხ-მექს	370.00	18:00 9401	არგ-გერ	16.00	18:00 9401	არგ-ხორ	150.00
18:00 9401	შვედ-ხორვ	700.00	18:00 9401	იტალ-ჩეხ	65.00	18:00 9401	პორტ-ხორვ	380.00	18:00 9401	ინგლ-არგ	11.00	18:00 9401	საფრ-პოლან	33.00
18:00 9401	მექს-ხორვ	900.00	18:00 9401	იტალ-შვედ	100.00	18:00 9401	ესპ-პორტ	80.00	18:00 9401	ბრა-პოლ	16.00	18:00 9401	იტალ-უკრ	130.00
18:00 9401	მექს-უკრ	700.00	18:00 9401	ინგლ-ჩეხეთ	65.00	18:00 9401	ესპ-უკრ	250.00	18:00 9401	არგ-საფრ	25.00	18:00 9401	გერ-პორტ	40.00
18:00 9401	ინგლ-ხორვ	150.00	18:00 9401	ბრაზ-შვედ	65.00	18:00 9401	ჰოლ-მექს	200.00	18:00 9401	იტალ-ჰოლან	22.00	18:00 9401	გერ-უკრ	125.00
18:00 9401	საფრ-პორტ	65.00	18:00 9401	ბრაზ-მექს	60.00	18:00 9401	არგ-ესპ	25.00	18:00 9401	გერ-პოლან	20.00	18:00 9401	ბრა-იტალ	7.00
18:00 9401	ჩეხ-შვედ	240.00	18:00 9401	არგ-ჩეხეთ	60.00	18:00 9401	ბრაზ-ჩეხეთ	40.00	18:00 9401	არგ-იტალ	20.00	18:00 9401	ბრა-უკრ	6.00
18:00 9401	საფრ-უკრ	200.00	18:00 9401	გერ-ჩეხეთ	48.00	18:00 9401	ინგლ-ესპ	32.00	18:00 9401	გერ-იტალ	18.00	18:00 9401	ესპ-შვედ	125.00
18:00 9401	არგ-შვედ	100.00	18:00 9401	იტალ-პორტ	50.00	18:00 9401	ბრაზ-პორტ	32.00	18:00 9401	გერ-მექს	100.00	18:00 9401	ბრა-არგ	6.50
18:00 9401	არგ-მექს	95.00	18:00 9401	ჩეხ-უკრ	500.00	18:00 9401	ბრა-ესპ	28.00	18:00 9401	ინგლ-ჰოლან	25.00	18:00 9401	საფრ-შვედ	125.00
18:00 9401	ჰოლ-პორტ	80.00	18:00 9401	არგ-პორტ	45.00	18:00 9401	იტალ-ესპ	28.00	18:00 9401	ჰოლ-შვედ	125.00	18:00 9401	ბრა-ინგლ	8.50
18:00 9401	შვედ-მექს	400.00	18:00 9401	ჰოლან-ესპ	40.00	18:00 9401	იტალ-საფრ	25.00	18:00 9401	პორტ-მექს	200.00	18:00 9401	ბრა-საფრ	11.00
18:00 9401	გერ-შვედ	80.00	18:00 9401	ჰოლ-უკრ	250.00	18:00 9401	გერ-ესპ	25.00	18:00 9401	საფრ-ესპ	40.00	18:00 9401	გერ-ხორვ	150.00
18:00 9401	საფრ-ჩეხეთ	80.00	18:00 9401	ბრაზ-ხორვ	70.00	18:00 9401	ინგლ-გერ	11.00	18:00 9401	პორტ-ჩეხ	150.00	18:00 9401	საფრ-ხორვ	240.00
18:00 9401	ესპ-მექს	200.00	18:00 9401	ხორვ-უკრ	800.00	18:00 9401	ინგლ-იტალ	11.00	18:00 9401	იტალ-ხორვ	150.00	18:00 9401	ესპ-ჩეხ	100.00
18:00 9401	პორტ-შვედ	200.00	18:00 9401	ჰოლ-ხორვ	280.00	18:00 9401	გერ-საფრ	25.00	18:00 9401	ჰოლ-ჩეხ	100.00	18:00 9401	არგ-უკრ	120.00
18:00 9401	ინგლ-მექს	75.00	18:00 9401	პორტ-უკრ	300.00	18:00 9401	ინგლ-პორტ	40.00	18:00 9401	საფრ-მექს	150.00	18:00 9401	ინგლ-უკრ	125.00

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფიდან გასვლა

ჯგუფი A 9601		ჯგუფი B 9602		ჯგუფი C 9603		ჯგუფი D 9604		ჯგუფი E 9605		ჯგუფი F 9606		ჯგუფი G 9607		ჯგუფი H 9608	
18:00	კოტ რიკა 5.00	18:00	ინგლისი 1.11	18:00	კოტ დივარი 3.00	18:00	ირანი 4.00	18:00	განა 4.00	18:00	ავსტრალია 3.00	18:00	შვეიცარია 1.50	18:00	ესპანეთი 1.10
18:00	გერმანია 1.07	18:00	შვედეთ 1.30	18:00	სერბეთი 3.00	18:00	ანგოლა 5.00	18:00	იტალია 1.15	18:00	ხორვატია 1.70	18:00	ს. კორეა 2.70	18:00	უკრაინა 1.40
18:00	პოლონეთი 1.45	18:00	ტრინიდადი 13.00	18:00	არგენტინა 1.20	18:00	პორტუგალია 1.14	18:00	ჩეხეთი 1.45	18:00	ბრაზილია 1.02	18:00	ტოგო 5.00	18:00	ტუნისი 2.50
18:00	ეკვადორი 2.80	18:00	პარაგვაი 2.50	18:00	ჰოლანდია 1.30	18:00	მექსიკა 1.22	18:00	აშშ 2.50	18:00	იაპონია 3.20	18:00	საფრანგეთი 1.08	18:00	ს არაბეთი 8.00

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21019	ს.კორეა-ტოგო	1.90	10.00	1.70
21020	საფრანგეთი-შვეიცარია	1.90	10.00	1.70
21021	ბრაზილია-ხორვატია	1.90	10.00	1.65
21023	ესპანეთი-უკრაინა	1.90	10.00	1.70
21024	ტუნისი-ს.არაბეთი	1.90	10.00	1.70

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23019	ს.კორეა-ტოგო	3.10	1.20
23020	საფრანგეთი-შვეიცარია	3.10	1.20
23021	ბრაზილია-ხორვატია	3.20	1.25
23023	ესპანეთი-უკრაინა	3.30	1.22
23024	ტუნისი-ს.არაბეთი	3.20	1.25

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

გავა თუ არა სწორაფი გოლი მჩ 2006 ში (2 წთ). 9 ივნისი

18:00	9701	1.32	2.05

მჩ 2006 ში გატანილი გოლების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00	9702	160,5	1.80	1.80

მჩ 2006 პენალტების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00	9801	16,5	1.90	1.80

მჩ 2006 გოლი საპუნქტო კარში (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00	9802	3,5	1.70	1.90

გაიხსნა ერროპოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – ალმაშენებლის №39; გარდაბანი – ალმაშენებლის №12

დინამომ ფირი იშოვა და კილიკია დაიწყო

თბილისის „დინამო“ შაბათს ერევანს მიემგზავრება და კვირას ინტერტოტოს თასის პირველ მატჩს გამართავს „კილიკიასთან“. თბილისელებმა ახალი მწვრთნელის კახა კაჭარავას ხელმძღვანელობით, შეიძლება ითქვას, სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი მოილიეს. გუშინ კი საქმეს უკვე საგანგებოდ „კილიკიასთან“ მატჩებისთვის მოსამზადებლად შეუდგნენ. რა ხდება გუნდში, ვინაა წამსვლელი და ვინ მომსვლელი, რას ველოდოთ სომხებთან მორიგი შეხვედრებისგან? კახა კაჭარავა გვპასუხობს...

— 25 მაისს შევიკრიბეთ და ახალი სეზონისთვის მზადება დავიწყეთ. 2 ივნისიდან გუნდი ორჯერად ვარჯიშებზე გადავიდა, 11-ში კი დავისვენეთ და გუშინდლიდან უკვე „კილიკიასთან“ მატჩებისთვის სამზადისს შევუდექით...

— სომხეთის ჩემპიონატის „კილიკია“ — „არარატის“ მატჩზე ჩვენი ოპერატორიც იყო და ამ შეხვედრის ფირი გვექნება. ამას გარდა, მეტოქის თამაშის ორი ძველი ფირიც გვაქვს. როგორც უნდა იყოს, ჩემი ხელმძღვანელობით „დინამო“ ყველასთან მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ „კილიკიას“ ბარიერს გადავლახავთ.

— შეიძლება ითქვას, მეტოქესთან მატჩებამდე საქმეს ის გვირთულებს, რომ სომხეთში ახლა გაგანია ჩემპიონატია, უკვე ცხრა ტური ჩატარდა, „კილიკია“ კი ცხრილში მეექვსეა. ქართულ-სომხური გუნდების მატჩები ხომ ყოველთვის საინტერესო და დაძაბულია და ჩვენს მეტოქეს დამატებით ის სტიმულიც ექნება, რომ თბილისის „დინამოს“ ეთამაშება.

— ერევანში მატჩის წინა დღეს, 17 ივნისს გავემგზავრებით და იმავ საღამოს შვიდ საათზე ვივარჯიშებთ. მატჩიც ადგილობრივი დროით შვიდ საათზეა დანიშნული. იმედია, „კილიკიას“ მოვუგებთ და 25 ივნისს უკვე ავსტრიულ შეკრებაზე წავალთ. იქ ხუთი ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი, თუმცა ძალიან მსურს, მეექვსეც ვითამაშოთ — ეს მეექვსე კი ინტერტოტოს მეორე ეტაპის შეხვედრა იქნება „რიდთან“.

— საღღეისოდ „დინამოში“ სამი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს — ბრაზილიელი ტენინი, ფოთის „კოლხეთიდან“ ზამირ ჯანაშია და „სიონიდან“ მიხეილ ხუციშვილი. ამათ გარდა, ასევე „სიონიდან“ დავიბრუნეთ განათხოვრებული ლევან ხმალაძე. წასვლით გუნდიდან ჯერ არავინ წასულა, თუ არ ჩათვლით „ალანიადან“ თავის დროზე ნათხოვარ ბურდულს, დარასელიას და შაშიაშვილს. რამდენიმე ფეხბურთელი კი თავიანთი სურვილით ტრანსფერზე არიან, თუმცა ისინი ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ. ტრავმების გამო გიორგი ნავალოვსკი, გიორგი მეგრელაძე და მიხეილ ბობოხიძე ისვენებენ. ვნახოთ, ნავალოვსკი და მეგრელაძე „კილიკიასთან“ ალბათ ვერ დაგვეხმარებიან, ბობოხიძე კი შეიძლება მომჯობინდეს.

— ახალი სეზონისთვის „დინამო“ კიდევ გაძლიერდება. გეგმაში გვაქვს სამი-ოთხი უცხოელი ფეხბურთელის დამატება, „კილიკიასთან“ მატჩებისთვის კი უეფაში 24-კაციანი შემადგენლობა გავგზავნეთ. თუმცა მეორე ეტაპისთვის განაცხადში ახალი ფეხბურთელების შეყვანის უფლება გვექნება.

ძოგა ინასარიძე

ჰეპსი და 166-ე

დასრულდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაციის ერთობლივი პროექტი — სკოლბურთში ჰეპსის თასის გათამაშება — დედაქალაქის პირველობა საშუალო სკოლებს შორის 166-ე სკოლის გამარჯვებით დასრულდა. ფინალურ შეხვედრაში 166-ე სკოლამ 62-ეს 7:2 სძლია.

თბილისის მერიამ ფინალურ ეტაპზე გასული ათივე გუნდი სპორტული ინვენტარით, ხოლო ფინალისტები შავიზღვისპირა კურორტის ათდღიანი საგზურით დააჯილდოვა.

გამარჯვებული 166-ე სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაწესებულ მთავარ პრიზს — ხელოვნურსაფარიან მოედანს წლეულსვე მიიღებს.

კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსგან ჰეპსის თასის მფლობელი გუნდი ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირის საგზურს მიიღებს.

სფფ-ის პრესცენტრი

გია გეგუჩაძისთვის გაგრა კიევში დაიწყო

გია გეგუჩაძე, რომლის გაწვრთნილი თბილისის „დინამო“ შარშანწინ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, წელიწადზე მეტხანს უმუშევარი იყო, მაგრამ ახლა პირველი ლიგის „გაგრაში“ დასაქმდა — სპორტულ დირექტორად დაინიშნა...

ალექსანდრე ოსაძე

— თბილისის „დინამოდან“ პირველი ლიგის გუნდში — რამ განაპირობა თქვენი ასეთი გადაწყვეტილება?

— „გაგრის“ პრეზიდენტი ბესო ჩიხრაძე ჩემი მეგობარია და კარგად ვიცი, რა მიზნები აქვს.

— ბესო ჩიხრაძე უკრაინაში მოღვაწე ბიზნესმენია — სად დაუმეგობრდით მას?

— მასთან დიდი ხნის ნაცნობობა არ მაკავშირებს. როცა გაზაფხულზე კიევში ვიყავი A სამწვრთნელო ლიცენზიისთვის, ჩიხრაძეც მაშინ გავიცანი.

— „გაგრაში“ სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელი იქნებით?

— ჩემს მოვალეობაში შედის სპორტულ მხარე. მომწონს ამ კლუბის კურსი, „გაგრა“ მუხრანში ვარჯიშობს და თამაშობს, იქ გუნდის განკარგულებაში ორი მოედანია. იქვეა პოლიკლინიკა, რომლის მეორე სართულზე გუნდის განკარგულებაში იქნება საძინებლები, კვების ბლოკი, დასასვენებელი და თეორიული მეცადინეობისთვის განკუთვნილი ოთახები. „გაგრა“ აქცენტს ახლგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს. შეიქმნება „გაგრის“ მეორე გუნდიც, რომელიც მომავალი სეზონიდანვე ითამაშებს რეგიონულ ლიგაში.

— გამოცდილი ფეხბურთელების დამატებაზე უარს იტყვით?

— ამ ეტაპზე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ისე კი, მე ვუყურებ ფეხბურთელის პერსპექტივას და არა საპასპორტო მონაცემებს.

— მიზანი უმაღლეს ლიგაში აღზევებაა?

— გაისად აუცილებლად უმაღლეს ლიგაში ვიყოთ — ასეთი კატეგორიული მიზანი არ გვაქვს, მიზანი კლუბის წინსვლა, პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის შექმნაა და ეფექრობ, ამას წელიწადნახევარში შევძლებთ.

დავით თავართქილაძე

მე-17 ეროვნული ჩემპიონატის აღმოჩენები სახეებიდან სახელებამდე

საქართველოს მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის შეფასებას უკვე მესამე ნერილს ვუძღვნით. პირველ ორ შემთხვევაში ჯერ მსაჯობაზე, შემდეგ კი უმაღლესი ლიგის კლუბებში არსებულ სატრანსფერო „თეთრ ლაქებზე“ ვისაუბრეთ. ისე გამოვიდა, ორივე წერილს კრიტიკის სოლიდური დოზა ახლდა, თუმცა ჩვენს მიზანს სულაც არ წარმოადგენს ყველას და ყველაფრის მუქ ფერებში წარმოჩენა — უფრო პირიქით...

რა მოგვცა, რა შესძინა ზოგადად ქართულ ფეხბურთს მეჩვიდმეტე ეროვნულმა? გამოჩნდნენ თუ არა ახალი სახეები, რომლებსაც პერსპექტივაში სახელებად ჩამოყალიბება და ჩვენს ფეხბურთში ამინდზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ? რა თქმა უნდა. არა იმდენი, არა ისეთი მქუხარე, როგორსაც ვისურვებდით, მაგრამ გამოჩნდნენ...

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამოკითხვაში ერთ-ერთ ნომინაციად „წლის აღმოჩენაც“ იყო. ამ ნომინაციაში გამარჯვებული თბილისის დინამელი სანდრო კობახიძე გახდა. სრულიად უცნობმა 18 წლის ბიჭმა ჩემპიონატის მეორე ნახევარში რამდენიმე შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა. წლის აღმოჩენის ტიტული სანდროსთვის გაცემული ერთგვარი ავანსია და იმედს ვიტოვებთ, რომ ორიოდ წლის შემდეგ მას საქართველოს ფარგლებს გარეთაც აღმოაჩენენ.

იმავ ნომინაციაში მეორე-მესამე ადგილზე ამერელი რატი წინამძღვრიშვილი და ვიტჯორჯიელი ნიკა გელაშვილი გავიდნენ. კობახიძისგან განსხვავებით, მათი კარგი თამაში ამ ჩემპიონატში ფეხბურთის სპეციალისტთა და ჟურნალისტთათვის მოულოდნელი არ ყოფილა, მათ ხომ საკუთარი კლუბის გარდა, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების მისურის მორგებაც მოასწრეს. მათ ერთი უპირატესობაც ჰქონდათ — ამპლუით ფორვარდთათვის თავის გამოჩენა შედარებით იოლი იყო. ნიკა გელაშვილმა რამდენიმე შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიასთვის“ გამარჯვების მომტანი გოლები გაიტანა, რატი წინამძღვრიშვილი კი თასის ფინალში საგოლედ ისე გაფრინდა...

ახალი სახეები ამით ნამდვილად არ შემოიფარგლება. თუნდაც ზესტაფონელი ალექსი ბენაშვილი, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის გულის მოგება უკვე რომ მოასწრო, ანაც თბილისელი რევაზ ბარაბაძე, მეთექვსმეტე ჩემპიონატში ძირითადად სათადარიგოთა შორის მყოფი ფეხბურთელიდან წლეულს „თბილისის“ ერთ-ერთ ლიდერად რომ იქცა და გუნდის უმაღლეს ლიგაში დატოვებაში ლომის წილი დაიდო. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, თუმცა არა გასაკვირი — 17-18 წელი ხომ სწორედ ის ასაკია, ქართველების საფეხბურთო ნიჭი ყველაზე მკაფიოდ რომ ჩანს. ახლა ჯერი იმ ხალხზეა, ვისაც ამ ნიჭის საფეხბურთო ოსტატობად ჩამოქნა შეუძლია და ევალება. განა ჩემპიონატის აღმოჩენა არ იყო არგენტინელი გონსალო დე პორასი? სამწუხაროა, რომ ქართულ ფეხბურთს ამ ბიჭმა მხოლოდ რამდენიმე ლამაზი შეხვედრით არგო, მაგრამ ზოგადად ჩემპიონატს რომ დაატყო კვალი, ფაქტია.

სადაც სეზონის აღმოჩენებზეა ლაპარაკი, უპრიანია ის ფეხბურთელებიც ვახსენოთ, ახალი, ჯერაც უცნობი კუთხით რომ წარმოაჩინეს თავი. ვფიქრობ, გასულ ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიამ“ ჩინებული საყრდენი ნახევარმცველი, თავად დავით იმედაშვილმა კი მოედანზე საკუთარი ადგილი აღმოაჩინა. წლების განმავლობაში პერსპექტიული მცველი იშვიათად ნახევარდაცვის ფლანგზეც გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ მოედნის ცენტრში გადაწევის შემდეგ დაოთსულ სხვანაირად გაიხსნა და ლამის ბომბარდირთა დავაშიც ჩაერია. შედეგი სახეზეა და იმედაშვილი დღეს კიევის „დინამოსთან“ ერთად იმყოფება შეკრებაზე.

განა ჯაბა დვალმაც გასულ ჩემპიონატში არ დაგვანახა, რომ პერსპექტიულიდან ჩამოყალიბებულ ფორვარდამდე გზზე დგას? პირველი წრე „სიონში“, მეორე კი თბილისის „დინამოში“ და ორივეგან ძირითადი დამრტყმელი ძალის როლი ჯაბას კლასის საუკეთესო დასტურია.

გუნდი აღმოჩენაც იყო — თბილისური „ამერი“, უმაღლეს ლიგაში სადებუტო სეზონის სამი მეოთხედი ლიდერთა ჯგუფში რომ გაატარა, საბოლოოდ კი ეროვნული თასის მოპოვებით დააგვირგვინა სეზონი. რაც მთავარია, „ამერის“ სახით ქართულმა ფეხბურთმა სტაბილურად ამბიციური კლუბი შეიძინა, რომლის წინაშეც ჰამლეტისეული კითხვა არ დგას.

იყო, მეჩვიდმეტე ეროვნულში სიახლე საკმარისზე მეტიც იყო და სურვილის შემთხვევაში ამის დანახვა თავისუფლად შეიძლებოდა. ახლა მთავარია, რაც აღმოვაჩინეთ, სათანადოდ მოვეპატრონოთ და მოვუფრთხილდეთ...

გიორგი ნოზაძე

დიდი და პატარა ოთახებმაც ისწავა

ამერი ბაკურიანს კმაყოფილი ტოვებს

ბაბერი ძეობლიძის ფოტო

გიორგი ჩიხრაძეს ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი აქვს

სიგრილე... სიგრილე კი არა, სიცივე... ქურთუკის გარეშე ყოფნა მაინცდამაინც სასიამოვნო არაა — ასეთი დაგვხვდა დილის ბაკურიანი.

გუშინ 11 საათზე თბილისის „ამერს“ ბაკურიანული შეკრების ბოლო სავარჯიშო დღე ჰქონდა. ერთი სასტუმროდან მეორემდე — „თბილისიდან“ „მელისამდე“ — ცოტა ხნის სავალი გზაა, „მელისის“ მიმდებარე ველზე კი გიორგი ჩიხრაძემ 23 ამერელი გაამწკრივა და...

„თქვენ ფეხბურთელები, ანუ პროფესიონალები ხართ და მუნდიალის თამაშებს სხვა თვალით უნდა უყუროთ. კამათი კარგია, მაგრამ გულშემატკივრის კი არა, ექსპერტის დონეზე“ — ასეთი იყო მწვრთნელის პირველი შეგონება ფეხბურთელების მიმართ.

სირბილი, შტანგების აწევა, კუნთების გახურება — ასეთია „ამერის“ ყოველდღიური დილის ვარჯიში 3 ივნისიდან, რომელიც დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა. საღამოობით კი ხალისი მატულობს, რადგან საქმეში ბურთი ერთვება...

ჩიხრაძე კმაყოფილია, ან რაზე უნდა წყდებოდეს გული: ოცდასამივე ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს. ფონიც ისეთია, უკეთესი რა გინდა — საქართველოს თასის აღებიდან ხომ ერთი თვეა გასული და კლუბისთვის სადებიუტო ევრომატჩებიც მალე მოაკაკუნებს.

„ამერში“ ორი ახალი სახეა: ისე, გიზო ჯელაძეს ძველ-ახალი უფრო ეთქმის, ის ხომ შარშან ზამთარში მივიდა ჩიხრაძის გუნდში და ერთი წრეც ითამაშა, მერე „ბათუმში“ გადავიდა, სადაც ასევე ექვსი თვე დაჰყო, ბოლო ხანს უთამაშებელი იყო და ახლა ისევ „ყვითლებშია“... იური გაბისკირიაც აქვეა, დარბის, შტანგას ეწევა და სულ მოძრაობაშია. „ამერის“ ადმინისტრატორი მამუკა კვანტალიანი მისით აღტაცებულია, 38 წლის კაცი ახალგაზრდებს ტოლს არ უდებს დატვირთვაში და თანაც უნდა ნახოთ, რა ატმოსფერო შემოიტანა გუნდში, ახალგაზრდებს სულ გვერდით უდგას და მეგობრობსო...

აქვე ისიც ვთქვათ, რომ მოთამაშე-მწვრთნელი გაბისკირია „ამერში“ 13 ნომერი იქნება, თენგიზ ჩიკვილაძემ 13-ის ნაცვლად 32 აირჩია, გიზო ჯელაძემ კი — 35.

დამთავრდა ვარჯიში, გუნდი სასტუმრო „თბილისში“ დაბრუნდა. მერე იყო სადილი და ნასადილევს საინტერესო საუბარი ჩიხრაძესა და მის თანაშემწე ნუგზარ ბოჯგუას შორის — ისინი საღამოს ვარჯიშს გეგმავდნენ.

საღამომდე საკმაო დროა, ხუთ საათზე ავსტრალია — იაპონია იწყება და გამოძინებაც შეიძლება, ზოგი ფეხბურთელი ასეც იქცევა, ზოგნი ფოიეში ბანქოს თამაშით ერთობიან და თან მუნდიალზე კამათობენ: „იტალია მოიგებს“; „განა რაღაც მაგარი გუნდი ჩანს“...

— ყოველ დილით ფუნქციონალური ვარჯიშებია, საღამოს კი ბურთთან მუშაობაზე და კოორდინაციაზე ვაკეთებთ აქცენტს. ბაკურიანში სხვა გუნდი არ ჩამოსულა და რომც ჩამოსულიყო, ტესტ-მატჩს ვერ გავმართავთ, რადგან აქ სტანდარტული სტადიონი არ არის — გვითხრა *გიორგი ჩიხრაძემ*, რომელსაც ნასადილევს გავესაუბრეთ...

— „ამერს“ დამღლელი სეზონი ჰქონდა. ბიჭებმა მოასწრეს ტონუსში ჩადგომა?

— თასი რომ მოვიგეთ, ამან ბიჭებს სტიმული მისცა. ისედაც არ ვუჩიოდით განწყობას, მაგრამ ახლა სხვა მონდომებას ვატყობ გუნდს. ხალისი მეტია, ვარჯიშობენ, ოფლში იღვრებიან. საბედნიეროდ, ტრავმაც არავის აწუხებს.

— ექვსი თვეა, გიზო ჯელაძეს არ უთამაშია და დატვირთვებთან შეგუება არ უჭირს?

— მართალია, არ უთამაშია, მაგრამ გიზო ინდივიდუალურად ემზადებოდა და ამ მხრივ დიდი პრობლემები არ აქვს. ეგაა, სათამაშო პრაქტიკა აკლია.

— იური გაბისკირიას კარგად იცნობთ და მის ასაკს რომ ყურადღებას აქცევდეთ, ალბათ, გუნდში არც აიყვანდით...

— იურის თითქმის ოცი წელიწადია, ვიცნობ, ერთად ვთამაშობდით. ამ ხნის მანძილზე ის ყოველთვის ახალგაზრდა იყო და ახლაც ასეა. გაბისკირია ფუნქციონალურად მშვენივრადაა მომზადებული, იცის, როგორ უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე.

— ხვალ თბილისში ბრუნდებით, 20 ივნისს კი ჩეხეთში მიდიხართ შეკრებაზე. იქ ტესტ-მატჩები ჯერ არ დაგიგეგმავთ?

— ჩვენ იქაურ ადმინისტრაციას უკვე მივეცით სასურველი ტესტმატჩების სია და თარიღები. ასპროცენტიანი თანხმობა ჯერ ბოუცია, მაგრამ ოთხი თამაშის გამართვას ვაპირებთ, ძირითადად, ჩეხეთის გამბრინუსლიგის გუნდებთან. იქ ორი კვირა დავრჩებით, მერე კი უეფას თასის მატჩებიც მოახლოვდება.

— „ამერი“ ჯერჯერობით არ აქტიურობს ტრანსფერებში. უფრო რომელ რგოლში გჭირდებათ მოთამაშეები?

— გაძლიერება ყველა გუნდს უნდა, მაგრამ შევსება აუცილებლად გვჭირდებაო, მაინც ვერ ვიტყვი.

— „ამერში“ ბევრია 1988 წელს დაბადებული ფეხბურთელი, თუმცა მათ იშვიათად უწევთ ძირითად გუნდში თამაში. მომდევნო სეზონში მათ უფრო ხშირად მისცემთ შანსს?

— ალბათ, ასე იქნება. ჩვენ სწორი გზით მივდივართ — კარგია, როცა პერსპექტიულ ახალგაზრდებზე აკეთებ აქცენტს. სადღაც ეს გამართლებულია, მაგრამ მარტო მომავალზე თუ ვიფიქრებთ, დღეს შედეგი ნაკლები იქნება. „ამერში“ ახალგაზრდებისა და გამოცდილების სინთეზი იდეალურია.

— როგორც გავიგეთ, ბაკურიანში გამოცდილ და სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელებს სასტუმროს ერთ ოთახში აცხოვრებთ. ეს განგებ გააკეთეთ?

— დიახ. მინდა, რომ ახალგაზრდებმა ასაკოვნებისგან ბევრი ისწავლონ...

— საუეფასთასო მეტოქე ჯერ არაა ცნობილი, მაგრამ მაინც გკითხავთ: ერთი ეტაპის გავლა „ამერისთვის“ უკვე დიდი წარმატება იქნება?

— იმას ვიტყვი, რომ „ამერი“ ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ არ შეხვდება ევროთასს. ვინც უნდა იყოს მეტოქე, მთავარი განწყობაა — წინასწარ თუ ცხვირს ჩამოუშვებ, შენზე სუსტიც მოგიგებს.

ილია ნანოგაშვილი

ბაბერი ძეობლიძის ფოტო

ამერის ბაზა დააყაჩაღეს

შეიძლება ითქვას, ფეხბურთის კლუბი „ამერი“ ნელ-ნელა იდგამს ფეხს და მისი ხელმძღვანელები ნაბიჯ-ნაბიჯ აწყობენ გამართული კლუბისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას. სამომავლო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი საგურამოს ბაზას უკავია, სადაც უკვე შიდა სამუშაოები მიმდინარეობს. ფეხბურთელები, მწვრთნელები, ხელმძღვანელები ლამის დღეებს ითვლიან, როდის მიეცემათ ბაზით სარგებლობის საშუალება...

გუშინ ღამით საგურამოს ბაზას ყაჩაღები დაეცნენ. დანებით შეიარაღებულმა ავკაცებმა დარაჯისგან საწყობის გასაღები მოითხოვეს და როცა უარი მიიღეს, სადარაჯო ჯიხურში გამოკეტეს, თავად კი ბაზის ოთახებს მოედნენ. მთლიანად განადგურებულია უკვე დამონტაჟებული, თუმცა ჯერ კედლებში ჩაულესავი ელექტროგაყვანილობა, ჩამოგლეჯილი და წაღებულია სადენები. ჯამში სპილენძის სადენების სიგრძე დაახლოებით 800 მეტრი იყო და გასაკვირი არ იქნება, შესაბამისი „გადამუშავების“ შემდეგ ფერადი ლითონის მიმღებ რომელიმე პუნქტში თუ აღმოჩნდება.

ყაჩაღობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი გია ნინუა ხელმძღვანელობდა. მუშაობდა ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა ანაბეჭდებს ვერ მიაგნეს.

იმედია, დამნაშავეთა პოვნა მოხერხდება, თუმცა „ამერის“ ბაზაზე სამუშაოები საკმაო დროით გახანგრძლივდება...

გიორგი ნოზაძე

ახალგაზრდული დუ-ჟინი
დიდმიდან პორტუგალია გამოჩნდა



გურამ დოლიძისაგან ფოტო

13-25 ივლისს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ევროპის ახალგაზრდული ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართება. B დივიზიონის გუნდები ელიტაში აღსაზევებლად შეებმებიან ერთმანეთს და ამ მარაქაშია საქართველოს ნაკრებიც, რომელიც სალისაბონო შეკრებას გუშინ შეუდგა. „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე 12 კალათბურთელი შეგროვდა, რომლებსაც უახლოეს დღეებში კიდევ 4 კანდიდატი შეუერთდება და პორტუგალიაში გამგზავრებამდე ინტენსიურად ივარჯიშებენ.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" ახალგაზრდების მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა და მისმა თანაშემწე გელა წულაძემ სანაკრებო ამბებზე ისაუბრეს

— დღეს დიდმის საწვრთნელ ბაზაზე პირველი ვარჯიში ჩავატარეთ. სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო ამ ეტაპზე რამდენიმე მოთამაშე გვაკლია. თვის ბოლომდე ორჯერადი ვარჯიშები გვექნება, მერე კი უკვე სრულფასოვან შეკრებაზე გადავალთ — მოთამაშეები ბაზაზე იცხოვრებენ და აქვე ივარჯიშებენ.

— 15 ივნისს ლაშა გამყრელიძეს ველოდებით, 16-ში გიორგი გაფრინდაშვილი ჩამოდის, მალევე შემოგვიერთდება გიორგი მამაცაშვილიც. მანუჩარ მარკოიშვილის საქმე როგორ იქნება, ჯერ არ ვიცით. მას ახლახან დაუმთავრდა თამაშები. მოგეხსენებათ, სლოვენიის ჩემპიონი გახდა და მძიმე სეზონის შემდეგ ცოტა დასვენება სჭირდება. ნაოპერაციევი ფეხიც უნდა შეიმოწმოს და ამის შემდეგ, ალბათ, ივლისის დასაწყისში შემოგვიერთდება.

— სანიკიძე ამერიკაში გაემგზავრა, სადაც ზუსტად საკვალიფიკაციო მატჩების დღეებში საზაფხულო ლიგაში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ ის მაინც შევიყვანეთ კანდიდატთა სიაში, რა იცი, რა ხდება.

— კალათბურთის ფედერაცია უკრაინელებთან და თურქებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. თუ შეთანხმდებიან, ამაზე კარგი რა იქნება.

— ჯგუფში ჩვენთან ერთად არიან ფინეთის, ისლანდიისა და ჰოლანდიის ნაკრებები. ამ უკანასკნელზე არაფერი ვიცით, ხოლო ფინელებსა და ისლანდიელებს შარშან ვეთამაშეთ და მიმაჩნია, რომ სერიოზული ბრძოლები გველის. ჩვენი ამოცანა ჯგუფური ეტაპის დაძლევა იქნება, მერე კი ვნახოთ...

ამხანაგური ნაკრების მიზნებზე უფრო კონკრეტულად უსტიაშვილის თანაშემწე გელა წულაძემ ისაუბრა:

— ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მიზანი ეროვნული გუნდისთვის მოთამაშეების მომზადებაა. ამავდროულად ჩვენ ყველანირად ვეცდებით, A დივიზიონის საგზური მოვიპოვოთ, თუმც ვიცით, რომ ეს ურთულესი შესასრულებელი იქნება.

ირაკლი პერტაია

რევაზ ათანელაშვილი (სტუ), დავით მურჯიკნელი (სტუ), დავით გვიმრაძე (დინამო), ნიკოლოზ ჩხატარაშვილი (ავიამშენი), რეზი დიდია (თსუ-ნიკორა), მანუჩარ მარკოიშვილი (ოლიმპია, სლოვენია) ირაკლი საყვარელიძე (თსუ-ნიკორა), გიორგი მამაცაშვილი (უგუნდო), ბესიკ ლეჟავა (თსუ-ნიკორა), მიხეილ ბერიშვილი (თსუ-ნიკორა), მიხეილ ჭოჭუა (აზოტი), ლექსო ლაფანაშვილი (დინამო), გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო), ლაშა გამყრელიძე (პანტერსი, ავსტრია), გიორგი ცინცაძე (დინამო, მოსკოვი), გიორგი გაფრინდაშვილი (ციბონა, ხორვატია), ვიქტორ სანიკიძე (დიჟონი, საფრანგეთი)

AFP გეტაშვილიდან

ასაფა პაუელი: ისევ 9,77!

ბოლო ათწლეულია, მძლეოსნობას ცოტა გაუძვირდა მსოფლიო რეკორდები. წელიწადში, ჰა-ჰა, ერთი-ორი თუ გაუმჯობესდება, მაგრამ, სამაგიეროდ, კაცია უპრეტენზიულეს 100-მეტრიან სპრინტში ტრიალებს რეკორდის სურნელი და სხვა სახეობების გვალვიანობას არც აგრძნობინებს სპორტის დედოფლის მჭვრეტავ საზოგადოებას. ნებისმიერ ტურნირზე, სადაც დარბიან იამაიკელი ასაფა პაუელი და ამერიკელი ჯასტინ გატლინი, შესაძლებელია, ახალი უსწრაფესი დროის დაფიქსირება.

ჯერ იყო და, შარშან პაუელმა 100 მეტრზე 9,77 წამი აჩვენა და პლანეტის უსწრაფესი ორფეხას ოფიციალური ტიტული ჩამოართვა ბოლო წლებში სადღაც მიკარგულ ტიმ მონტგომერის. წლეულს გატლინმა დოჰაში თითქოს ახალი რეკორდი გამოაცხო, მაგრამ თავდაპირველად დაფიქსირებული 9,76 ისევ 9,77-ად გადაუკეთეს და პაუელზე წინ კი არა, მის გვერდით დააყენეს. ახლა კი, ამ უქმეებზე, ინგლისის მომცრო ქალაქ გეიტშიდში პაუელმა ერთხელაც გაირბინა 100 მეტრი 9,77 წამში და კიდევ ერთხელ გაიმეორა რეკორდი.

ახალი კი, მართალია, ჯერ არ ჩანს, მაგრამ ეს დუეტი ისე ახლოს უტრიალებს, დიდი შანსია, უკვე წლეულს მოაკლდეს ამ შეუვალ 9,77-ს უმნიშვნელო და თან ასე მნიშვნელოვანი წამის მეასედი ან მეასედები.

ოღონდ ესეც სათქმელია, რომ რატომღაც გატლინი და პაუელი ერიდებიან ერთმანეთს. ჩანს, როცა ერთურთს ეჯიბრებიან, არწაგებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ახალ რეკორდზე და ანტილოპას ფეხებში ბეჰემოთის სიძაბუნე უდგებათ. პაუელისას ახლა ვერაფერს მოგახსენებთ, გატლინი კი აშკარად მოერიდა გეითშიდში სირბილს, რაღაც მოიმიზეზა და ორიოდ კვირით ადრე იქ სირბილზე უარი შეუთვალა ორგანიზატორებს. მაგრამ როდემდე დაიმალებიან? ადრე თუ გვიან მოუწევთ გაჯიბრება, ოღონდ, მანამდე რეკორდის პირად ანგარიშზე ჩაწერა უნდა მოასწრონ თავდაჯერებისთვის.

კოტე ყორღია

The Finals

11 ივნისი. დალასი. „ამერიკან ეალაინზ სენთერი". 20 476 მაყურებელი

დალასი 2:0 მაიამი

დალასმა მხეცი დაკოდა



AFP დალასიდან

დირკ ნოვიცკის შეჩერება კვლავაც შეუძლებელი იყო

დალასი 99:85 მაიამი

18:17 32:17 32:24 17:27

დალასი: ტერი (16), გრიფინი, ჰოვარდი (15) ნოვიცკი (26 ქულა, 16 მოხსნა), დიოპი (1); სტეკჰაუსი (19), ჰარისი (11), დამპიე (6 ქულა, 13 მოხსნა), ვან ჰორნი (5), დანიელსი

მაიამი: უილიამსი (11), ვეიდი (23), უოლკერი (20), ჰასლემი (6), ონილი (5); მურნინგი (11), პოუზი (7), პეიტონი (2), შ. ანდერსონი

„დალასისთვის" პლეი ოფის ძირი იყო მწარე, კენწერო გატკბილდა. აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდი „მაიამი", ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, „სან ანტონიოს" კი არა, „ფინიქსის" დარ წინააღმდეგობასაც ვერ უწევს დასავლეთის ჩემპიონს. ფინალური სერიის პირველი ორი მატჩი „დალასმა" ჯამში 24 ქულით მოიგო და უკეთესს რომ ვერ ინატრებ, ისეთი ხალისიანი განწყობით გაფრინდა სამხრეთ ფლორიდაში.

მეორე მატჩი პირველზე იოლიც კი გამოვიდა, იქნებ იმიტომაც, რომ ახლა ნოვიცკი ნოვიცკობდა და ფარზე მუშაობის გარდა, თავის წილ ქულებსაც უხვეჭდა ჩემპიონობასთან როგორც არასდროს, ისე მიახლოებულ „მაერიკსს". სხვებიც ჩაუქობდნენ: ჯერი სტეკჰაუსმა და ჯოშ ჰოვარდმა რიგრიგობით მითვალეს ერთ შეტევაში 4-4 ქულა (სამქულიანს + საჯარიმო). ამერიკელები ხომ ყველაფერს ითვლიან და ნამატჩევს ესეც გაიხსენეს, ფინალების ისტორიაში სულ ექვსჯერ გაკეთებულა ერთ შეტევაში 4 ქულა, მაგრამ ერთ თამაშში ორჯერ არასდროსო.

უფრო თვალსაჩინო რეკორდი კი ის გახლავთ, რომ „დალასის" შეუვალმა დაცვამ მაიამელ მთაკაც შაკილ ონილს თამაშიდან მხოლოდ 5 ბურთი ასროლინა (შაკის საპლეიოფო ანტირეკორდი), მხოლოდ 2 ჩაგდებინა (ესეც ანტირეკორდი) და საბოლოოდ 5 ქულას დააჯერა, რაც აგრეთვე ანტირეკორდია. საკუთარი უძლურებით გაცოფებული დევკაცი თანდათან თავკონტროლსაც კარგავდა და მსაჯებს დასაშვებზე ხშირად ეკამათებოდა. ნამატჩევს სავალდებულო პრესკონფერენციაზეც არ გამოცხადაა (რა უნდა ეთქვა?) და ნბა-ს შესაბამისი კომიტეტისგან 10-ათასიანი ჯარიმაც აიკიდა, მისი კლუბი კი 25 ათასით დაჯარიმდა. სანამ ფინალი დაიწყებოდა, „დალასის" თავკაცი აივერი ჯონსონი პრესის წინაშე ხატოვნად შფოთავდა — ტვინზე მაწევს 150 კილოგრამიო (შაკის წონა), ახლა კი გაცილებით უნდა შეუმსუბუქდეს ფიქრები.

თავად თამაშზე ბევრს ვერას მოგახსენებთ. შედარებით თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ სათადარიგო ჯერი სტეკჰაუსის ლიდერობით დალასელები 19 ქულით დაწინაურდნენ და მეორე ტაიმში მდევრები ახლოს აღარ გაიკარეს.

საყოველთაო დალასური ეიფორიის ჟამს მათი ლიდერი დირკ ნოვიცკი მაინც შეახსენებს ტეხასელთა ბანაკს, ჯერ ადრეა ზეიმიო — „საქმე ჯერ არ მოგვიმთავრებია. ჩვენ მხოლოდ ორი თამაში მოვიგეთ, ისიც საკუთარ მოედანზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, გასვლაზე სულ სხვა მხეცთან გვექნება საქმე. შაკი და ვეიდი ასე იოლად არ დათმობენ."

კოტე ყორღია

რაფაელ ნადალის ჯადოს უიმბლდონის ბალახი ახსნის

AFP ჰარი ზიდან

ზედიზედ 60 მოგება, ზედიზედ 4 მასტერსი და რაც მთავარია, ორი „როლან გაროსი“. ამას თიხნარის მეფეც აღარ ჰქვია ალბათ. ეს უფრო მეტია. რაფაელ ნადალი ხელში ჩოგნით მართლა ხატავს და აჩუქურთმებს თიხის კორტებზე, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ ჩოგბურთი მარტო თიხნარი არ არის და, მიუხედავად იმისა, რომ წელს ოთხი ფინალი მოუგო, არსებობს როჯერ ფედერერი, ვისთვისაც პირველობის წართმევა ურთულესი საქმე იქნება.

რაფაელ ნადალი ზედიზედ მეორე პარიზული ტრიუმფის შემდეგ გულგახსნილი საუბრობს და იმედოვნებს, რომ თიხის ჯადოქარი ოდესმე უიმბლდონის ბალახზეც შექმნის ისტორიას

— არაერთხელ გითქვამთ, რომ ფედერერი №1 ჩოგბურთელია, თქვენ კი მხოლოდ მის შემდეგ დგახართ, მაგრამ წლეულს უკვე მეოთხედ მოუგეთ... აღარ იტყვით, რომ მინიმუმ მისი დონის ხართ?

— საიდან მოიტანეთ ეს სისულელე. ის ხომ ყველანაირ საფარზე ერთნაირად თამაშობს. ამიტომაც არის №1. მას უდიდეს პატივს ვცემ. ის ყველაზე სრულყოფილი მოთამაშეა, ვინც ჩემს სიცოცხლეში მინახავს.

— კი მაგრამ, ოთხი გამარჯვება?

— მერე რა, რომ ოთხჯერ მოვუგე. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ის მაინც უპირობოდ უძლიერესი ჩოგბურთელია.

— წლევანდელი გამარჯვება უფრო ძვირფასია თუ შარშანდელი? წლეულს ხომ ტიტული №1 ჩოგბურთელის დამარცხებით მოიპოვეთ?

— დიახ, ეს გამარჯვება უდავოდ განსაკუთრებულია. თუმც კი სხვა მიზეზით — გასული სეზონის მიწურულს და ამ წლის დასაწყისში სერიოზული ტრავმა მაწუხებდა. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ რამდენიმე თვეში ორი მასტერსისა და „დიდი სლემის“ ტურნირის მოგებას შევძლებდი.

— სად აპირებთ გამარჯვების აღნიშვნას და ვისთან ერთად?

— მაქსიმუმ, ჩემს ოჯახთან და სამწვრთნელო შტაბთან ვისადილო, შემდეგ კი ლონდონში მივფრინავ და ქუინსის ტურნირში სათამაშოდ. სამშაბათს წყვილებში ვთამაშობ, რათა ერთეულთა შეხვედრის წინ ბალახზე თამაში მოვასწრო. ამ ტურნირს მთელი სერიოზულობით ვუდგები. შარშან ჰალეში ძალიან გულგრილად ვითამაშე, მაგრამ ახლა ქუინსის ტურნირს სერიოზულად ვუყურებ, როგორც უიმბლდონისთვის მომზადების აუცილებელ ელემენტს.

— რატომ არის ასე ძნელი ბალახზე თამაში?

— თუნდაც იმიტომ, რომ ფეხი ხშირად მისრიალებს. ასეთ დროს კი უბრალოდ, თვითრწმენა აღარ გაქვს. დარტყმის მაგივრად იმაზე ფიქრობ, არ გასრიალდე და არ წაიქცე.

— მაყურებელი უფრო ფედერერს ხომ არ გულშემატკივრობდა?

— ეს ნორმალურია და არც გამკვირვებია. მოგების შემთხვევაში როჯერი „დიდ სლემს“ იგებდა. ასეთი რამის გაკეთება კი აქამდე მხოლოდ ორმა კაცმა შეძლო. რაღა გასაკვირია, რომ ბევრს თავისი თვალით უნდოდა ენახა ეს ისტორიული მომენტი. თუმც არც მე მაკლდა გულშემატკივრები. სწორედ ეს გამიკვირდა, რადგან თამაშამდე მეგონა, როჯერს გაცილებით მეტი უგულშემატკივრებდა.

— როგორ ფიქრობთ, ვის შეუძლია თქვენი დამარცხება გრუნტზე?

— მე მგონი, ბევრია ისეთი, ვისაც ჩემი დამარცხება შეუძლია. ბევრი კი მოვიგე, მაგრამ უმეტესობაში ნამდვილი ბრძოლა გადავიტანე. იგივე პოლ-ანრი მატიოსა და ლეიტონ ჰიუიტს შეეძლოთ ჩემი დამარცხება. ასე რომ, ნებისმიერ დროს შეიძლება, წავაგო.

— ეს გამარჯვება პირველი ნაბიჯი ხომ არ არის პირველ ნომრად გახდომისთვის?

— ეს დღევანდელ პირველ ნომერზე უფროა დამოკიდებული. შარშან როჯერმა გასაგიუებელი — 1250 ქულა დააგროვა. წლეულს კი იმ გრაფიკის გადაჭარბებით მიდის. შარშან გრუნტზე მარტო ერთი ტურნირი მოიგო, წლეულს კი ჯერ მონტე-კარლოს, მერე რომის ფინალში იყო. აგერ, აქაც ფინალში გავიდა და უკვე 600 ქულა აქვს. მაგას ვინღა დაეწევა. ამიტომ ამაზე თავის მოკვლას არ ვაპირებ.

— მატჩი მორჩა თუ არა, კორტზე დავარდით. რას ფიქრობდით იმ დროს?

— არაფერს.

— რას განიცდიდით?

— არაფერს.

— მართალს ამბობთ?

— აბა, რა გინდათ რომ გიპასუხოთ, არც კი მახსოვს, რომ დავვარდი. ამას არ ვგეგმავდი, უბრალოდ, ცოტა ხნით გავითიშე.

— ყველამ კიდევ ერთხედ დაინახა, თუ რაოდენ დიდი ურთიერთპატივისცემაა თქვენსა და ფედერერს შორის. ეს სხვებისთვის, ალბათ, მაგალითად უნდა იქცეს.

— ჩვენს შორის არანაირი დაძაბულობა არ არსებობს. ერთმანეთს მართლაც დიდ პატივს ვცემთ. არასოდეს გვქონია პრობლემები და არა მგონია, მომავალში გვქონდეს.

— ეს ფინალი თქვენი გულით, ნებისყოფით თუ კარგი თამაშით მოიგეთ?

— ცოტა ყველაფერი ერია. ცოტა გამიმართლა კიდეც — ფედერერი ხომ ჩვეულზე უფრო ხშირად ცდებოდა.

— ვინმემ რომ გითხრათ, უიმბლდონის ფინალში გახვალო, გიჟად ჩათვლით, თუ ასეთი რამ მართლაც შესაძლებელია?

— გიჟად არ ჩავთვლიდი, მაგრამ ამის მიღწევა ძნელი, არა — უძნელესი იქნება. თუმცა იმედი მაქვს, ოდესმე ამასაც შევძლებ.

ძალოსნებმა პრეზიდენტი ჩაიცემენტეს



დავით ბეჟუაშვილი ძალოსანთა კვარცხლბეკთან დგომით არ დაიღლება

მურად დოლენჯაშვილის ფოტო

საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციას დავით ბეჟუაშვილი 2010 წლამდე უპრეზიდენტებს. კომპანია „საქცემენტის“ გენერალურ დირექტორი და პარლამენტარი ამ პოსტზე ოთხი წლის წინ აირჩიეს. ამ პერიოდში საქართველოს ნაკრებმა ბლომად მედლები მოიპოვა და სწორედ ეს იყო ძალოსანთა გუშინდელი ერთსულოვნების მიზეზი. სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში გამართულ საანგარიშო ყრილობაზე პრეზიდენტობის პრეზიდენტ კანდიდატს კონკურენტი არ ჰყავდა და არც ერთ დელეგატს მის წინააღმდეგ ხელი არ აუწევია.

ყრილობის დაწყებისთანავე ბეჟუაშვილმა დამსახურებული მწვრთნელებისა და ვეტერანი ძალოსნების გარჯა ერთხელაც გაიხსენა და სიგელები და ფულადი პრემიები დაარიგა.

კენჭისყრამდე 2002-2006 წლებში ფედერაციის მიერ გაწეული სამუშაო და სატურნირო მონაგარი გენერალურმა მდივანმა რამაზ გურგენიძემ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა შეაფასეს, ორივემ დადებითად.

„მთავარი პრობლემა — დაუფინანსებლობა — ისტორიას ჩაბარდა. არაფერი აღარ გვაკლია, სახელმწიფოს ყურადღებას აშკარად ვგრძნობთ, სპორტის დეპარტამენტმა ყველა ტურნირზე გაგვიშვა, რომელიც ვოხოვეთ და მოთავარი — შედეგი, რომელიც უკვე ჩანს. წამოვიდა უძლიერესი თაობა. იმედია, ეს ახალგაზრდები პეკინის ოლიმპიადის 4 ლიცენზიას მოიპოვებენ“ — თქვა გრიქუროვმა.

ძალოსნობის აწმყო-მომავალზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ასანიძემ და თავად ბეჟუაშვილმაც ისაუბრეს. მათ უფრო პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება. მთავარი ამოცანა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებაა და ამ მხრივ უკვე სერიოზული მუშაობაც დაიწყო. „თბილისში უახლოეს პერიოდში ორი უმაღლესი დონის სპორტული კომპლექსი გვექნება, რაიონებში კი რამდენიმე ახალი დარბაზი გაიხსნება“ — განაცხადა მეორედ გაპრეზიდენტებულმა ბეჟუაშვილმა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა კი ძალოსნობის ბოლოდროინდელი შედეგიანობა და პოტენციალი ძიუდოსას შეადარა და ძალოსნებს უფრო მეტ ყურადღებას დაჰპირდა“.

ოთარ გალლაკელიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბუგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00